

გარემოს დაცვის სისხლისსამართლებრივი რეგულირება



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

**გარემოს დაცვის
სისხლისსამართლებრივი
რეგულირება**

დოკუმენტი მომზადებულია ფონდ „პური მსოფლიოსთვის პროტესტანტული განვითარების სამსახურის“ (BFDW) მიერ დაფინანსებული პროექტის - „ადამიანის უფლებების და დემოკრატიის დაცვა სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერების გზით“ - ფარგლებში. გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

Brot
für die Welt

Bread for the World -
Protestant
Development Service

კვლევის ხელმძღვანელები: მარიამ სვიმონიშვილი
მგია გოჩიაშვილი

კვლევის ავტორები: ანა ბერიძე
თამარ ბოჭორიშვილი
ფატიმა ჩაფიჩაძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. კვლევის მეთოდოლოგია	5
2. კვლევის მიზნები	8
3. რა არის გარემოსდაცვითი დანაშაული?	10
3.1. შესავალი	10
3.2. გარემოსდაცვითი დანაშაულის ზოგიერთი განმარტება	11
4. ევროკავშირის სამართალი და გარემოსდაცვითი დანაშაული	12
4.1. შესავალი	12
4.2. ევროკავშირის 2008/99/EC დირექტივა სისხლის სამართლის გზით გარემოს დაცვის შესახებ	13
4.3. დირექტივით განსაზღვრული გარემოსდაცვითი დანაშაულები	14
4.4. ახალი დირექტივის პროექტი და ინიცირებული ცვლილებები	17
4.4.1. შესავალი	17
4.4.2. დირექტივის პროექტით განსაზღვრული ახალი ტიპის დანაშაულები	20
4.4.3. დირექტივის პროექტით განსაზღვრული სანქციები	20
4.4.4. ეფექტიანი აღსრულება	22
5. გერმანია	23
5.1. შესავალი	23
5.2. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულები გარემოს წინააღმდეგ	26
5.2.1. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 324-ე მუხლი	26
5.2.3. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 325-ე მუხლი	26
5.2.4. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 325a მუხლი	27
5.2.5. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 326-ე მუხლი	28
5.2.6. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლი	29
5.2.7. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 328-ე მუხლი	30
5.2.8. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 329-ე მუხლი	31
5.2.9. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 330-ე მუხლი	32
5.2.10. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 330a მუხლი - მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნა მხამების გამოყოფით	33
5.2.11. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 330b მუხლი	33
5.2.12. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 330c მუხლი	33
5.3. პრაქტიკის შეჯამება	34

6. შვედეთი	35
6.1. შესავალი	35
6.2. გარემოსდაცვითი დანაშაულები	36
6.2.1. გარემოსდაცვითი კოდექსის 29:1 მუხლი	37
6.2.2. გარემოსდაცვითი კოდექსის 29:3 მუხლი	37
6.2.3. გარემოსდაცვითი კოდექსის 29:4 მუხლი	37
6.2.4. გარემოსდაცვითი კოდექსის 29:5 მუხლი	38
6.2.5. გარემოსდაცვითი კოდექსის 29:6 მუხლი	38
6.2.6. გარემოსდაცვითი კოდექსის 29:7 მუხლი	38
6.2.7. სხვა დანაშაულები	37
6.3. პრაქტიკის შეჯამება	39
7. ლიეტუვის რესპუბლიკა	40
7.1. შესავალი	40
7.2. გარემოსდაცვითი დანაშაულები ლიეტუვის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით	41
7.2.1. ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 270-ე მუხლი	41
7.2.2. ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 270 ¹ -ე მუხლი	42
7.2.3. ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 270 ² -ე მუხლი	42
7.2.4. ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 270 ³ -ე მუხლი	43
7.2.5. ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 271-ე მუხლი	43
7.2.6. ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 271 ¹ -ე მუხლი	43
7.2.7. ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 272-ე მუხლი	43
7.2.8. ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი	44
7.2.9. ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 274-ე მუხლი	44
7.3. პრაქტიკის შეჯამება	45
8. საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი	46
8.1. კანონმდებლობის ანალიზი	46
8.2. სასამართლო პრაქტიკა	52
8.2.1. განაჩენები	54
8.2.2. განჩინებები	56
8.2.3. დადგენილებები	57
8.3. საქართველოს პროკურატურის სტრატეგია გარემოსდაცვით კანონდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის	61
9. შეჯამება	62
10. რეკომენდაციები	63

1. კვლევის მეთოდოლოგია

ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არსებითი ინსტრუმენტია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გარემოს დაცვის სფეროში დარღვევებთან ეფექტიანი ბრძოლა და მისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების პრევენცია. მიუხედავად ამისა, ამ კუთხით ჩაღწეული დანაშაულები და სამართალდარღვევები ქართულ რეალობაში ნაკლებად შესწავლილი და დამუშავებულია. პრაქტიკულად, არ ხდება ამ მიმართულებით არსებული რეალობის შეფასება. შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესახებ ანალიტიკური დოკუმენტის მომზადება.

კვლევაში რეკომენდაციების შემუშავებისა და საქართველოს კანონმდებლობის **საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით** გამოყენებულია კომპარატივისტიკის მეთოდი. კონკრეტულად, განხილულია **ევროკავშირის 2008/99/EC დირექტივა სისხლის სამართლის გზით გარემოს დაცვის შესახებ**, ამ სფეროში ახალი დირექტივის პროექტი, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს ზემოთ მითითებული დირექტივა. ამასთანავე, დოკუმენტი შეისწავლის, რა საკანონმდებლო ჩარჩო არსებობს გარემოსდაცვით დანაშაულთან ბრძოლის კუთხით ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: **გერმანია, შვედეთი და ლიეტუვა**. ქვეყნები შერჩეულია სხვადასხვა კრიტერიუმით, მათ შორის, რამდენად წარმატებულია ეს ქვეყანა გარემოს დაცვის სფეროში, რამდენად რელევანტურია მასთან საქართველოს შედარება საკანონმდებლო თვალსაზრისით, რამდენად ხელმისაწვდომია კვლევისთვის საჭირო შესაბამისი რესურსები.

დირექტივისა და ქვეყნების ჭრილში განიხილება, რა სახის დანაშაულებს იცნობს ევროკავშირი და კონკრეტული ქვეყნების კანონმდებლობები გარემოს დაცვის სფეროში, რა სანქციებია გათვალისწინებული სხვადასხვა დანაშაულისთვის და რამდენად ემედითია ისინი პრაქტიკაში. მოცემული ქვეყნების შეფასებით, შესაძლებელი გახდა რეკომენდაციების შემუშავება საქართველოში არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის დასახვეწად, ამ კუთხით მეტი ეფექტიანობის მისაღწევად.

უპირველეს ყოვლისა, კვლევა განიხილავს **ევროკავშირის 2008/99/EC დირექტივას სისხლის სამართლის გზით გარემოს დაცვის შესახებ**¹ და ახალი დირექტივის პროექტს.²

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში პირდაპირ არ აქვს აღებული ამ კონკრეტული დირექტივის იმპლემენტაციის ვალდებულება.³ თუმცა, ამავე შეთანხმების 302 (1) მუხლის მიხედვით:

¹ ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 19 ნოემბრის დირექტივა 2008/99/EC სისხლის სამართლის გზით გარემოს დაცვის შესახებ [2008] OJ L 328/28 (გარემოსდაცვითი დანაშაულის დირექტივა), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Ojfoox>, ბოლო ნახვა: 19.04.2022.

² Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on the protection of the environment through criminal law and replacing Directive 2008/99/EC, 15 დეკემბერი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3jTkmKA>, ბოლო ნახვა: 19.04.2022.

³ ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის [2014] OJ L 261/4 („ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება“), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xEqrTo>, ბოლო ნახვა: 19.04.2022.

„საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და საერთაშორისო დონეზე ძალისხმევის ხელშეწყობას, გარემოს დაცვის რეგიონულ ან გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად, მათ შორის ისეთ სფეროში, როგორცაა გარემოსთან დაკავშირებულ დანაშაულთან ბრძოლა“.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გარემოს დაცვის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულთან ქმედით ბრძოლას და ამ სფეროში არსებული იმ დირექტივების ეფექტიან იმპლემენტაციას, რომელთა ეროვნულ დონეზე დანერგვის ვალდებულება საქართველომ ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აიღო.

შესაბამისად, ამ კონტექსტში, კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, მნიშვნელოვანია, შეფასდეს, რამდენად შეესაბამება საქართველოში ამ კუთხით არსებული კანონმდებლობა და მისი აღსრულების პრაქტიკა მოცემული დირექტივით განსაზღვრულ პირობებს.

- **გერმანია** არის კონტინენტური სამართლის ქვეყანა, რომლის კანონმდებლობასთან საქართველოს, ისტორიულად, ყველაზე მეტი საერთო აქვს. ამასთანავე, გერმანია გარემოსდაცვითი კუთხით ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სახელმწიფოდ მიიჩნევა. შესაბამისად, საქართველოს კონტექსტში, მნიშვნელოვანია გერმანიის კანონმდებლობის განხილვა.⁴
- **შვედეთს**, გერმანიის მსგავსად, გარემოს დაცვის მიმართულებით ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია. მისი მაგალითი, სხვა სკანდინავიურ ქვეყნებთან ერთად, ხშირად გამოიყენება გარემოს დაცვის სფეროში კანონმდებლობის დასახვეწად თუ აღსრულების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.⁵ შესაბამისად, საინტერესოა მისი გამოცდილების შეფასება და ქართულ კანონმდებლობასთან შედარება.⁶
- **ლიეტუვის** მაგალითი კომპარატივისტიკის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ის, საქართველოს მსგავსად, პოსტსაბჭოთა ქვეყანაა. ამიტომ, საერთო ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, საინტერესოა, როგორ განვითარდა მისი კანონმდებლობა გარემოსდაცვითი დანაშაულის კუთხით და როგორ ებრძვის მას.

გარდა ამისა, ნაშრომში წარმოდგენილია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესახებ **ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი**. შესწავლილი და დამუშავებულია ამ ტიპის დანაშაულების თაობაზე **სასამართლოს გადაწყვეტილებები**, ასევე **ადმინისტრაციულ სახდელდებლასთან** დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილებები/დადგენილებები.

⁴ Environmental Performance Index, 2020 წლის შედეგები, გერმანია, ხელმისაწვდომია: <https://epi.yale.edu/epi-results/2020/component/epi>, ბოლო ნახვა: 29.04.2022.
⁵ Richard Stassen and Vania Ceccato, „Environmental and Wildlife Crime in Sweden from 2000 to 2017“ (2020) 36(3) Journal of Contemporary Criminal Justice 403, 404.
⁶ იქვე, შვედეთი.

კვლევის მიზნებისთვის გაანალიზებულია შესაბამისი უწყებებიდან - საქართველოს **მინაგან საქმეთა სამინისტროდან და გენერალური პროკურატურიდან** - მოწოდებული რელევანტური საჯარო ინფორმაცია, გამოძიებისა და დევნის დაწყების მაჩვენებლები, **დანაშაულის სტატისტიკა**.

6 სასამართლოდან (თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის საქალაქო და ზუგდიდისა და თელავის რაიონული სასამართლოებიდან) მოთხოვნილია შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- 2021 წლის 1-ლი იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVI-ე თავით (დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ) გათვალისწინებულ დანაშაულებზე (სსკ-ის 287-ე-306¹-ე მუხლები), ასევე ამ მუხლებთან ერთობლიობით გათვალისწინებულ დანაშაულებზე რამდენი საქმე განიხილა თითოეულმა სასამართლომ.
- აქედან რამდენ საქმეზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და რამდენზე დასრულდა განხილვა არსებითად.
- რამდენ საქმეზე გამოტანა სასამართლომ გამამართლებელი, გამამტყუნებელი ან ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი.

ზემოთ ჩამოთვლილი ექვსივე სასამართლოდან ასევე მოთხოვნილია:

- 2021 წლის 1-ლი იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114¹-⁷ და 57¹-⁸ მუხლებით, 64¹-⁹ მუხლის 1-ლი ნაწილით,⁹ 64²-⁹ მუხლის მე-3 ნაწილით,¹⁰ 66-⁹ მუხლის მე-2 ნაწილით,¹¹ 151-⁹ მუხლის მე-2 ნაწილით,¹² 151¹-⁹ მუხლის მე-2 ნაწილით,¹³ 64¹-⁹ მუხლის მე-2 ნაწილით,¹⁴ 86-⁹ და 86¹-⁹ მუხლებით, 128²-⁹

⁷ საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შესახებ კანონმდებლობის დარღვევა.

⁸ წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე.

⁹ დაცული ტერიტორიების დადგენილი საზღვრების ფარგლებში მერქნიან მცენარეთა უკანონო გაჩეხა და დაზიანება.

¹⁰ ქარსაფარ (მინდორდაცვით) ზოლში ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხა.

¹¹ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ხე-ტყის დამზადება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტების გარეშე ან სამონადირეო მეურნეობის მოწყობა სათანადო ლიცენზიის გარეშე, ჩადენილი განმეორებით.

¹² მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე (გარდა კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიისა) მწვანე ნარგავების დაზიანება, თვითნებური მოჭრა, განადგურება, ჩადენილი განმეორებით.

¹³ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მწვანე ნარგავების დაზიანება, თვითნებური გაჩეხა ან/და გადატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-აღდგენის წესების დარღვევა, ჩადენილი განმეორებით.

¹⁴ დაცული ტერიტორიების დადგენილი საზღვრების ფარგლებში მერქნიან მცენარეთა უკანონო გაჩეხა და დაზიანება ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის, ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების მიმართ.

¹⁵ თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების, ნადირობის წესების და ცხოველთა სამყაროს მიბეჭტებით სხვაგვარი სარგებლობის წესების დარღვევა.

¹⁶ ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესის დარღვევა.

მუხლის მე-5, მე-7 და მე-8 ნაწილებით¹⁷, 79¹-ე¹⁸ და 79⁷-ე¹⁹ მუხლებით რამდენი საქმე განიხილა თითოეულმა სასამართლომ (ჩაშლილი მუხლობრივად);²⁰

2. კვლევის მიზნები

- ხშირად, გარემოსდაცვითი დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, პრობლემურია მისი გამოვლენა, რასაც შესაბამისი ადამიანური თუ ტექნიკური/მატერიალური რესურსის ნაკლებობა იწვევს. ამასთანავე, ამ პრობლემებს საზოგადოებაში გარემოსდაცვითი დანაშაულისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ნაკლებობაც იწვევს;
- საერთაშორისო დონეზე ხშირად შესაბამისი უწყებების თანამშრომლები გარემოსდაცვით დანაშაულებს არ ანიჭებენ ისეთ მნიშვნელობას, როგორც სხვა ტიპის დანაშაულებს. ეს გამოიხატება გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დაბალ მაჩვენებლებში. ამგვარი დამოკიდებულება პრაქტიკაში ხელს უშლის სისხლის სამართლის ეფექტიან გამოყენებას ამგვარ დანაშაულებთან ბრძოლის კუთხით;
- გარემოსდაცვით დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლის ერთ-ერთი გამოწვევა, მათ შორის საერთაშორისო დონეზე, არის ამ დანაშაულის ტექნიკური ხასიათი, რაც შესაბამისი უწყებების თანამშრომლებისგან მოითხოვს საკითხის საფუძვლიან სამართლებრივ თუ დარგობრივ ცოდნას და უნარებს;
- გარემოსდაცვითი დანაშაულების შემთხვევაში ხშირად პრობლემები იჩენს თავს უშუალოდ სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს, ამ სფეროში მოსამართლეთა კვალიფიკაციის ნაკლებობის გამო. ამ დანაშაულის სპეციფიკური და ტექნიკური ხასიათიდან გამომდინარე, საერთაშორისო პრაქტიკის კვლევადანაც გამოჩნდა, რომ, არცთუ იშვიათად, მოსამართლეებს უჭირთ კონკრეტული მტკიცებულებების შეფასება, რამაც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს სასამართლო პროცესსა და მის შედეგებზე. ამასთანავე, მოსამართლეები, გარემოსდაცვითი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოდ დამკვიდრებული შეხედულებების გამო, მას სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებენ, რაც ხშირად მსუბუქ სასჯელებში

¹⁷ ხე-ტყის საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში სათანადო დოკუმენტის ან სპეციალური ფირნიშით მარკირების გარეშე ტრანსპორტირება (გარდა ამ მუხლის მე-6-მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ჩადენილი განმეორებით; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (მათ შორის, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე) მოპოვებული ხე-მცენარის საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში სათანადო დოკუმენტის გარეშე ტრანსპორტირება ან სპეციალური ფირნიშით მარკირების გარეშე სახერხ საამქროში შეტანა (განთავსება), ჩადენილი განმეორებით; სოციალური ქრების შედეგად მოპოვებული ხე-ტყის საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული წესების დარღვევით ტრანსპორტირება ან ასეთი ხე-ტყის ნებისმიერი ფორმით გასხვსება.

¹⁸ საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე.

¹⁹ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ან სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე.

²⁰ ადმინისტრაციულ-სამართლდარღვევათა მოცემული მუხლები შერჩეულია გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის დანაშაულების შესაბამისად, როგორც პრიუდიციული მნიშვნელობის ქმედებები.

გამოიხატება. ეს კი ხელს უშლის მის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას და სათანადო პრევენციას;

- მცირე ჯარიმებს ან, ზოგადად, ჯარიმებს იურიდიული პირებისთვის აქვს მხოლოდ ჩვეულებრივი ბიზნესხარჯის მნიშვნელობა, ვინაიდან დანაშაულებრივი ქმედებით ისინი გაცილებით დიდი ოდენობის შემოსავალსა და მოგებას იღებენ;
- გარემოსდაცვითი დანაშაულის კუთხით ასევე პრობლემურია შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და მისი მარტივად ხელმისაწვდომობა. ხშირად ინფორმაცია ფრაგმენტულია, სხვადასხვა უწყების მიერ ცალ-ცალკეა შეგროვებული და არ არის ერთად თავმოყრილი, აქედან გამომდინარე, არ აქვს სრული და ყოვლისმომცველი სახე. ამგვარი მოცემულობა ართულებს ამ სფეროში არსებული მდგომარეობისა და გამოწვევების სათანადოდ შეფასებას, ხარვეზების გამოსწორებისთვის შესაფერისი გეგმების შემუშავებას, რესურსების სწორად გადანაწილებას და ა.შ.;
- საქართველოში გარემოს დაცვის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების უმეტესობა ნაკლებად მძიმე კატეგორიას მიეკუთვნება. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ამ ტიპის 6 დანაშაულის შემადგენლობა სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთასაც არ ითვალისწინებს;
- საქართველოში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ზოგიერთი დანაშაულისთვის გათვალისწინებულია მხოლოდ ფაქტობრივი ზიანის დროს და არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც წარმოიშობა ამგვარი ზიანის საფრთხე;
- საქართველოში გარემოს დაცვის შესახებ სისხლისსამართლებრივი ნორმები, ძირითადად, ბლანკეტურია და მიუთითებს სხვა კანონსა ან ნორმატიულ აქტზე. ასევე, ზოგ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობა პირის ადმინისტრაციულსახელდდება;
- საქართველოში სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში აჩვენებს გარემოს დაცვის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რაოდენობის (სსკ-ის 287-ე-306-ე მუხლები) თითქმის ყოველწლიურად კლების ტენდენციას. ასევე დაბალია ამ ტიპის დანაშაულთა გახსნის მაჩვენებელი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პირველადი კვალიფიკაციის ფარგლებში 2021 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 287-ე-306¹-ე მუხლებით გამოძიების დაწყების მაჩვენებელი, ჯამში, **540 შემთხვევაა**. გამოძიების დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (210 შემთხვევა) ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხის (303-ე მუხლი) ფაქტზე გამოვლინდა;
- საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 287-ე-306¹-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩაღენასთან დაკავშირებით 2021 წელს დევნა დაიწყო 312 პირის მიმართ. **იურიდიული პირების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევა არ გამოვლენილა;**
- ყველაზე ხშირად გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია უკანონო თევზჭერის საქმეებზე - 113 პირის მიმართ;

- საიას მიერ შესწავლილი განაჩენები ცხადყოფს, რომ ყველა შემთხვევაში გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. საქმეთა უმრავლესობა - 75% (21 საქმე) საპროცესო შეთანხმებით დასრულდა, დანარჩენი 25% (7 საქმე) - სასამართლომ არსებითად განიხილა. ასევე, **ყველა შემთხვევაში მსჯავრდებული იყო ფიზიკური პირი;**
- სასამართლო სასჯელის სახით უმეტესად პირობით მსჯავრს (ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, რაც მსჯავრდებულს პირობითად ეთვლება) ან ჯარიმას იყენებს;
- განჩინებების შესწავლამ აჩვენა, რომ ბრალდების მხარეს არცერთ შემთხვევაში არ მოუთხოვია ბრალდებულის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახის - პატიმრობის გამოყენება. თავის მხრივ, სასამართლოც უმრავლესად მსუბუქ ზომას მიმართავს - ძირითადად, გირაოს 1000-2000 ლარის ოდენობით. გამოვლინდა 4 შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ ბრალდებულს არცერთი სახის აღკვეთის ღონისძიება არ შეუფარდა;
- დადგენილებების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ პრობლემურია ის მეთოდოლოგია, რომლის მეშვეობითაც ზიანი გამოითვლება. არსებული წესით გამოანგარიშებული ანაზღაურება ხშირ შემთხვევაში არ ასახავს სამართალდარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებულ ზიანს;
- გამოიკვეთა, რომ მოსამართლეები საკუთარი დისკრეციის ფარგლებში ნაკლებად მიმართავენ სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციას, რაც ზოგჯერ, შესაძლოა, სამართალდამრღვევისთვის პრევენციული ხასიათის ღონისძიება იყოს;
- დადგენილებების შესწავლამ ცხადყო, რომ გარემოსთვის მიყენებული იდენტური ზიანის შემთხვევაშიც კი მოსამართლეებს არ აქვთ თანაბარი მგრძობელობა, რაც ხშირად სამართალდამრღვევი პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაში გამოიხატება;
- დადებითად უნდა შეფასდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს პრაქტიკა. უმრავლეს შემთხვევაში ის მაქსიმალურად იყო ორიენტირებული, არსებული კანონმდებლობის შემაკავებელი ბერკეტების გამოყენებით მიეღო ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მიყენებული ზიანის შესაბამისი იქნებოდა და გარემოზე ზრუნვის ინტერესიდან გამომდინარეობდა.

3. რა არის გარემოსდაცვითი დანაშაული?

3.1. შესავალი

გარემოსდაცვითი დანაშაული თავისი შინაარსით და ხასიათით განსხვავდება ტრადიციული დანაშაულებისგან. ხშირად ის ვერ აკმაყოფილებს ყველა იმ სამართლებრივ თუ სოციალურ კრიტერიუმს, რომელიც, ტრადიციულად, ამა თუ იმ დანაშაულს ახასიათებს.²¹ შესაბამისად, არ არსებობს მისი ერთგვაროვანი განმარტება. სხვადა-

²¹ Stuart Bell S and others, *Environmental Law* (9th edn, Oxford University Press 2017), მე-8 თავი.

სხვა ქვეყნის კანონმდებლობასა თუ სამართლებრივ ლიტერატურაში ის შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენებოდეს.

ტრადიციული დანაშაულისგან მას სხვადასხვა ფაქტორი გამოარჩევს. როგორც წესი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ძირითადად გამოიყენება იმისთვის, რომ ესა თუ ის სოციალურად მიუღებელი ქცევა დაისაჯოს. გარემოსთვის მიყენებული ზიანი კი ხშირ შემთხვევაში სოციალურად მისაღები ქმედებაა, ვინაიდან საზოგადოება მას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს.²² ამასთანავე, ზოგჯერ, როდესაც ქმედება ან უმოქმედობა პირდაპირ ან ირიბად ზიანს აყენებს გარემოს, ან წარმოშობს ასეთი ზიანის საფრთხეს, შესაძლოა, იყოს სრულებით კანონიერი, ვინაიდან ის ნებართვით ან ლიცენზიით ავტორიზებულ ქმედებას განეკუთვნებოდეს.²³

მაგალითად, არაერთი ინდუსტრიული საქმიანობა, რომელიც ზიანს აყენებს გარემოს და იწვევს დაბინძურებას, საზოგადოებისთვის მისაღები ქმედებაა, ვინაიდან ის ნებართვით ხორციელდება და მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს. ამ პირობებში საჭიროა ისეთი სისტემის არსებობა, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს, ეს სარგებელი გადაწონის თუ არა ზიანს, რომელიც გარემოს კონკრეტულ შემთხვევაში ადგება. სისხლის სამართალი არ არის იმგვარად მოქნილი ინსტრუმენტი, რომ ასეთი ანალიზისა და ღირებულებების შედარებისთვის გამოსადეგი იყოს. სწორედ ამიტომ, ის ძირითადად მაშინ გამოიყენება, როდესაც საქმე ეხება აშკარად სოციალურად მიუღებელ ქცევას, ასევე იმისთვის, რომ აღსრულდეს ესა თუ ის მარეგულირებელი წესი და საქმიანობა შეესაბამებოდეს ნებართვით თუ კანონმდებლობით დადგენილ პირობებს.

3.2. გარემოსდაცვითი დანაშაულის ზოგიერთი განმარტება

ზოგიერთი განმარტების მიხედვით, გარემოსდაცვითი დანაშაული სახეზეა მაშინ, როდესაც ესა თუ ის ქმედება ჩადენილია იმ განზრახვით, რომ დააზიანოს (ან ქმედებას აქვს პოტენციალი, რომ დააზიანოს) ეკოლოგიური და ბიოლოგიური სისტემები პირადი ან ბიზნესსარგებლის მიღების მიზნით.²⁴

სხვა შემთხვევებში განმარტებებს აქვს მეტად სამართლებრივი ხასიათი და გარემოსდაცვით დანაშაულად მიიჩნევენ მხოლოდ იმ ქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც არღვევს კანონს და, ამგვარად, სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი ხდება.²⁵ ასეთ დროს კანონდარღვევა უნდა აზიანებდეს ან საფრთხეს უქმნიდეს ადამიანის ფიზიკურ არსებობას, მის ჯანმრთელობას ან, უშუალოდ, გარემოს. ამ დროსაც დანაშაულს უნდა ჰქონდეს პირადი ან ბიზნესსარგებლის მიღების მიზანი.

განმარტებების მიხედვით, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რამხელა ზიანს იწვევს ესა თუ ის ქმედება ან უმოქმედობა, რათა ის გარემოსდაცვით დანაშაულად კვალიფიცირდეს. სისხლის სამართალი, როგორც უკიდურესი საშუალება, ხშირად სწორედ იმ შემ-

²² Bell and others (n 6) გვ. 271.

²³ Elizabeth Fisher, *Environmental Law: a Very Short Introduction* (Oxford University Press 2017), მე-5 თავი.

²⁴ Mary Clifford, *Environmental Crime: Enforcement, Policy, and Social Responsibility* (Gaithersburg, Md.: Aspen Publishers 1998), გვ. 26.

²⁵ Yingyi Situ and David Emmons, *Environmental Crime: The Criminal Justice System's Role in Protecting the Environment* (SAGE Publications 2000), 1-ლი თავი.

თხვევაში გამოიყენება, როდესაც სახეზეა მნიშვნელოვანი ზიანი.²⁶

აღსრულების ეფექტიანობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, აღიქვამს თუ არა თავად კანონის აღსრულებაზე უფლებამოსილი პირები ან საზოგადოება გარემოსთვის საზიანო ამა თუ იმ ქმედებას დანაშაულად, ვინაიდან ხშირად სწორედ ამაზეა დამოკიდებული, თვალს დახუჭავენ თუ არა ისინი ამ ქმედებაზე, გამოიყენებენ თუ არა მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას, დაიწყება თუ არა სამართლებრივი დევნა, როგორი სანქციები იქნება გამოყენებული და ა.შ.²⁷ გარემოსდაცვითი დანაშაულის შემთხვევაში ეს საკითხი ხშირად ძალიან პრობლემურია, ვინაიდან, როგორც წესი, მას არ ანიჭებენ ისეთ მნიშვნელობას, როგორსაც, მაგალითად, მკვლელობას ან ქურდობას, დანაშაულებს, რომლებიც, ტრადიციულად, აღიქმება, როგორც „ბოროტება“ და სოციალურად აშკარად მიუღებელი ქცევა.²⁸

შესაბამისად, გარემოსდაცვითი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და შესაბამისი სამართლის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, როგორ არის განვითარებული თავად საზოგადოება, რა პრიორიტეტები არსებობს ქვეყანაში და როგორ აღიქმება ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები.

4. ევროკავშირის სამართალი და გარემოსდაცვითი დანაშაული

4.1. შესავალი

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების 302-ე (1) მუხლის მიხედვით:

„საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და საერთაშორისო დონეზე ძალისხმევის ხელშეწყობას გარემოს დაცვის რეგიონულ ან გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად, მათ შორის ისეთ სფეროში, როგორცაა გარემოსთან დაკავშირებულ დანაშაულთან ბრძოლა“.²⁹

შესაბამისად, საინტერესო და მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კანონმდებლობა სისხლის სამართლის გზით გარემოს დაცვის შესახებ ევროკავშირის 2008/99/EC დირექტივის ჭრილში შეფასდეს, ვინაიდან სწორედ ეს დირექტივა განსაზღვრავს გარემოს დაცვის სფეროში სისხლის სამართლის გამოყენებისა და ამ ტიპის დანაშაულთან ბრძოლის საერთო წესებს.³⁰

²⁶ Mark Halsey, “Environmental Crime: Towards an Eco-Human Rights Approach” (1997) 8(3) Current Issues in Criminal Justice, 217.

²⁷ Bell and others (n 6), გვ. 272.

²⁸ იქვე.

²⁹ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება (n 3).

³⁰ გარემოსდაცვითი დანაშაულის დირექტივა (n 1).

4.2. ევროკავშირის 2008/99/EC დირექტივა სისხლის სამართლის გზით გარემოს დაცვის შესახებ

1970 წლიდან მოყოლებული დღემდე ევროკავშირმა გარემოს დაცვის სფეროში მიიღო ძალიან ბევრი დირექტივა და რეგულაცია,³¹ მათ შორის, 1998 წელს - კონვენცია სისხლის სამართლის გზით გარემოს დაცვის შესახებ.³² კონვენცია მხარეებს ავალდებულებდა, ეროვნულ დონეზე მოეხდინათ იმ ტიპის ქმედებების კრიმინალიზაცია, რომლებიც ჩადენილია განზრახ ან გაუფრთხილებლობით და, შესაძლოა, ხანგრძლივი ზიანი მიაყენოს ჰაერს, ნიადაგს, წყალს, ცხოველებს, მცენარეებს, გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი ან მნიშვნელოვანი დაზავება.³³ დროთა განმავლობაში პრაქტიკაში გამოკვეთილმა პრობლემებმა, რომლებიც უკავშირდებოდა როგორც გარკვეულ ბუნდოვანებებს სამართლებრივი ტერმინოლოგიის კუთხით, ასევე აღსრულების არაეფექტიანობას, ცხადი გახდა, რომ საჭირო იყო გარემოსდაცვითი დანაშაულის კუთხით არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს მეტად დახვეწა და განვითარება.

დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა დავა ევროპულ კომისიასა და ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებს შორის იმის შესახებ, თუ ვინ იყო უფლებამოსილი - ევროპული კომისია თუ წევრი სახელმწიფოები ცალ-ცალკე - განესაზღვრა, რომელი ქმედება უნდა მიჩნეულიყო დანაშაულად გარემოს დაცვის კუთხით და რა შემთხვევაში უნდა დამდგარიყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

საქმეში *C-176/03 Commission v. Council* ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ მკაფიოდ განმარტა, რომ, მართალია, სისხლის სამართლისა და სისხლისსამართლებრივი პროცედურების დადგენა, როგორც წესი, არ იყო ევროპული გაერთიანების კომპეტენცია, ევროპის კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებები კომისიას აძლევდა უფლებას, აუცილებლობის შემთხვევაში, ისინი გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავებისას განესაზღვრა.³⁴ სასამართლომ შეფასების დროს გარემოსდაცვითი დანაშაული განასხვავა სხვა ტრადიციული დანაშაულებისგან მისი მარეგულირებელი, ეკონომიკური და სოციალური მახასიათებლებით. კიდევ ერთხელ განმარტა, რომ გარემოს დაცვა ევროპის კავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია და დაადგინა, რომ ამ სფეროში დანაშაულებრივი ხასიათის ქმედებების რიცხვის ზრდა, მისი ტრანსნაციონალური ხასიათი და გარემოსთვის მიყენებული ზიანის სულ უფრო და უფრო მზარდი სტატისტიკა ქმნიდა სწორედ იმ აუცილებლობას, რა დროსაც შესაძლებელი იყო, კომისიას გამოეყენებინა თავისი უფლებამოსილება და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი სისხლისსამართლებრივი წესების ჰარმონიზება მოეხდინა ევროკავშირის დონეზე.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ, მალევე, ძალაში შევიდა ევროკავშირის დირექტივა 2008/99/EC სისხლის სამართლის გზით გარემოს დაცვის შესახებ. ეს დირექტივა არის ძირითადი ინსტრუმენტი, რომელიც გარემოს დაცვის სფეროში განსაზღვრავს სის-

³¹ ევროპის კომისია, გარემოსდაცვითი დანაშაულის დირექტივის შეფასება, SWD (2020) 259 final, 1-ლი ნაწილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3K0180p>, ბოლო ნახვა: 19.04.2022.

³² კონვენცია სისხლის სამართლის გზით გარემოს დაცვის შესახებ (1998), 172, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Me46QK>, ბოლო ნახვა: 19.04.2022.

³³ კონვენცია სისხლის სამართლის გზით გარემოს დაცვის შესახებ (n 17), მეორე თავი.

³⁴ C-176/03 Commission v. Council [2006] Env LR 18.

ხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. დირექტივით მოთხოვნილია ისეთი ქმედებების კრიმინალიზაცია, რომლებიც იწვევს ან შესაძლებელია, რომ გამოიწვიოს გარემოსთვის, ფლორისთვის, ფაუნისთვის ზიანის მიყენება, ადამიანის სიკვდილი ან მისი დაზავება.³⁵ კონკრეტულად კი, დირექტივის ფარგლებში ისეთი ქმედებები მიიჩნევა გარემოსდაცვით დანაშაულებად, რომლებიც არღვევს ამ დირექტივის დანართებით განსაზღვრული 72 საკანონმდებლო აქტით დადგენილ ვალდებულებებს ან იმ სამართლებრივ აქტებში გაწერილ პირობებს, რომლებიც ამ საკანონმდებლო აქტებს იურიდიულ ძალას ანიჭებენ.

დირექტივის განცხადებების ნაწილში ხაზგასმულია, რომ ევროკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია გარემოს მაღალი ხარისხით დაცვა, რისი მიღწევის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება სწორედ სისხლის სამართალია. პრაქტიკაზე დაყრდნობით, აქვე შეფასებულია, რომ მანამდე არსებული პასუხისმგებლობის სისტემა, რომელიც ძირითადად მოიცავდა ადმინისტრაციულ სანქციებს და სამოქალაქო სამართლის საშუალებით ხელმისაწვდომს ხდიდა გარკვეულ საკომპენსაციო მექანიზმებს, არ იყო საკმარისი, რათა უზრუნველყო გარემოს დაცვის სფეროში არსებულ კანონებთან ქმედებების სრული შესაბამისობა. სწორედ ამიტომ, საჭირო იყო სისხლის-სამართლებრივი სასჯელებით ამ სისტემის გაძლიერება, გარემოს დაცვის სფეროში ქმედებების კრიმინალიზაცია და ასეთი ქმედებების მიმართ მაღალი სოციალური მიუღებლობის დემონსტრირება.

დირექტივა უშუალოდ არ განსაზღვრავს სანქციების ტიპს, თუმცა ადგენს, რომ ისინი უნდა იყოს პროპორციული, ქმედითი და შემაკავებელი ხასიათის.³⁶ მნიშვნელოვანია ისიც, რომ დირექტივა დანაშაულად მიიჩნევს არა მხოლოდ ქმედებას, არამედ უმოქმედობასაც. ამასთანავე, დანაშაულებრივი ქმედება, შესაძლოა, ჩადენილი იყოს როგორც განზრახ, ისე უხეში გაუფრთხილებლობითაც.³⁷

4.3. დირექტივით განსაზღვრული გარემოსდაცვითი დანაშაულები

დირექტივის მე-3 მუხლი განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც ჩადენილია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით და განეკუთვნება გარემოსდაცვით დანაშაულს.

• დირექტივის 3(a) მუხლი

დირექტივის 3(a) მუხლის მიხედვით, დანაშაულად მიიჩნევა ჰაერში, ნიადაგში ან წყალში მასალების ან მაიონებული გამოსხივების იმ რაოდენობით ჩაშვება, გამოყოფა ან შეყვანა, რომელიც:

- იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი;
- აყენებს ან შეიძლება მიაყენოს ადამიანს სერიოზული დაზიანება;
- აყენებს ან შეიძლება მიაყენოს არსებითი ზიანი ჰაერის, ნიადაგის ან წყლის ხარისხს, ცხოველებს ან მცენარეებს.

³⁵ გარემოსდაცვითი დანაშაულის დირექტივა (n 1), მე-3 მუხლი.

³⁶ იქვე, მე-5 მუხლი.

³⁷ იქვე, მე-3 მუხლი.

- **ღირექტივის 3(b) მუხლი**

ღირექტივის 3(b) მუხლის მიხედვით, დანაშაულად მიიჩნევა ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება, აღდგენა ან განთავსება, მათ შორის, ასეთი საქმიანობის ზედამხედველობა და ნარჩენების განთავსების ადგილების შემდგომი მოვლა, თუ ეს:

- იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი;
- აყენებს ან შეიძლება მიაყენოს ადამიანს სერიოზული დაზიანება;
- აყენებს ან შეიძლება მიაყენოს არსებითი ზიანი ჰაერის, ნიადაგის ან წყლის ხარისხს, ცხოველებს ან მცენარეებს.

- **ღირექტივის 3(c) მუხლი**

ღირექტივის 3(c) მუხლის მიხედვით, დანაშაულად მიიჩნევა ნარჩენების გადაზიდვა, როდესაც ეს საქმიანობა მიეკუთვნება ნარჩენების გადაზიდვის შესახებ ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2006 წლის 14 ივნისის No1013/2006 რეგულაციის 2(35) მუხლის მოქმედების სფეროს და სახეზეა ნარჩენების მნიშვნელოვანი რაოდენობით გადაზიდვა, იქნება ეს ერთი თუ რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული გადაზიდვის ფარგლებში.

ეს მუხლი ასევე განმარტავს, თუ რა მიიჩნევა ნარჩენების ამგვარ უკანონო გადაზიდვად. კონკრეტულად, ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი გადაზიდვა, რომელიც განხორციელდა ქვემოთ განსაზღვრულ ერთ-ერთ გარემოებაში:

- ყველა კომპეტენტური ორგანოსთვის შეტყობინების გარეშე;
- ყველა კომპეტენტური ორგანოს თანხმობის გარეშე;
- კომპეტენტური ორგანოების თანხმობით, რომელიც მიღებულია ფალსიფიკაციის, შეცდომაში შეყვანის ან თაღლითობის შედეგად;
- იმ სახით გადაზიდვა, რომელიც არ არის უშუალოდ მითითებული შეტყობინებასა ან გადაადგილების შესახებ სპეციალურ დოკუმენტში;
- იმგვარად გადაზიდვა, რაც გამოიწვევს ნარჩენების აღდგენასა ან განთავსებას ევროკავშირის გაერთიანების ან საერთაშორისო წესების დარღვევით;
- იმგვარად გადაზიდვა, რაც წინააღმდეგობაში იქნება თავად ზემოთ მითითებული რეგულაციის კონკრეტულ მუხლებსა და დანართებთან.

- **ღირექტივის 3(d) მუხლი**

ღირექტივის 3(d) მუხლის მიხედვით, დანაშაულად მიიჩნევა იმ საწარმოების ექსპლუატაცია, რომლებშიც მიმდინარეობს სახიფათო საქმიანობა ან ინახება, გამოიყენება საშიში ნივთიერებები ან პრეპარატები, რომლებიც საწარმოს გარეთ:

- იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი;
- აყენებს ან შეიძლება მიაყენოს ადამიანს სერიოზული დაზიანება;
- აყენებს ან შეიძლება მიაყენოს არსებითი ზიანი ჰაერის, ნიადაგის ან წყლის ხარისხს, ცხოველებს ან მცენარეებს.

- **ღირექტივის 3(e) მუხლი**

ღირექტივის 3(e) მუხლის მიხედვით, დანაშაულად მიიჩნევა ბირთვული მასალების ან სხვა საშიში რადიოაქტიური ნივთიერებების წარმოება, დამუშავება, გამოყენება, შენახვა, ტრანსპორტირება, იმპორტი, ექსპორტი ან განთავსება, რომლებიც:

- იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი;
- აყენებს ან შეიძლება მიაყენოს ადამიანს სერიოზული დაზიანება;
- აყენებს ან შეიძლება მიაყენოს არსებითი ზიანი ჰაერის, ნიადაგის ან წყლის ხარისხს, ცხოველებს ან მცენარეებს.

- **ღირექტივის 3(f) მუხლი**

ღირექტივის 3(f) მუხლის მიხედვით, დანაშაულად მიიჩნევა ველური ფაუნისა და ფლორის დაცული სახეობების ობიექტების მოკვლა, განადგურება, ფლობა ან ბუნებიდან ამოღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ქმედება დაკავშირებულია ასეთი ობიექტების უმნიშვნელო რაოდენობასთან და უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენს ამ სახეობების კონსერვაციის სტატუსზე.

- **ღირექტივის 3(g) მუხლი**

ღირექტივის 3(g) მუხლის მიხედვით, დანაშაულად მიიჩნევა ველური ფაუნის ან ფლორის დაცული სახეობების ობიექტებით, მათი ნაწილებით ან დერივატივებით ვაჭრობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ქმედება დაკავშირებულია მათ უმნიშვნელო რაოდენობასთან და უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენს ამ სახეობების კონსერვაციის სტატუსზე.

- **ღირექტივის 3(h) მუხლი**

ღირექტივის 3(h) მუხლის მიხედვით, დანაშაულად მიიჩნევა ნებისმიერი ქმედება, რომელიც იწვევს დაცულ ტერიტორიებზე არსებული ჰაბიტატების მნიშვნელოვან გაუარესებას.

- **ღირექტივის 3(i) მუხლი**

ღირექტივის 3(i) მუხლის მიხედვით, დანაშაულად მიიჩნევა ოზონდამშლელი ნივთიერებების წარმოება, იმპორტი, ექსპორტი, ბაზარზე განთავსება ან გამოყენება.

ღირექტივის მე-4 მუხლი სისხლისსამართლებრივ დანაშაულად მიიჩნევს ასევე ზემოთ ჩამოთვლილი განზრახვით ჩადენილი ქმედებების წაქეზებას, ამგვარ ქმედებაში დახმარებასა და მის წახალისებას.

ღირექტივის დანართებით კონკრეტულად არის განსაზღვრული გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი იმ სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომლებიც განსაზღვრავს გარემოს დაცვისთვის საჭირო წესებს. მათი ეფექტიანი აღსრულებისთვის, აუცილებელია, წევრმა სახელმწიფოებმა ასევე დაადგინონ შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ზომები მათი დარღვევის შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ ღირექტივა თითოეული ამ ქმედებისთვის არ ადგენს კონკრე-

ტულ სასჯელს და ამის უფლებამოსილებას უტოვებს წევრ სახელმწიფოებს, მისი მე-4 მუხლი, ზოგადად, განსაზღვრავს, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სასჯელი - ის უნდა იყოს ეფექტიანი, პროპორციული და შემაკავებელი ხასიათის.

ღირექტივა ცალკე გამოყოფს იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მე-6 მუხლის მიხედვით, იურიდიულ პირს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს, როდესაც სამართალდარღვევა ჩადენილია გარკვეული სარგებლის მიღების მიზნით ნებისმიერი იმ ადამიანის მიერ, რომელსაც ამ კომპანიაში უკავია წამყვანი თანამდებობა. ამ კონტექსტში ეს გულისხმობს ადამიანს, რომელსაც აქვს:

- იურიდიული პირის წარმომადგენლობის უფლებამოსილება;
- იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება;
- იურიდიული პირის კონტროლის უფლებამოსილება.

ღირექტივა წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, იურიდიული პირებს იმ შემთხვევაშიც დააკისრონ პასუხისმგებლობა, როდესაც ზემოთ მითითებული პირის მხრიდან არასათანადო ზედამხედველობისა ან კონტროლის შედეგად, სამართალდარღვევა ჩაიდინა მის დაქვემდებარებაში მყოფმა ადამიანმა, იურიდიული პირისთვის სარგებლის მოტანის მიზნით. იურიდიული პირებისთვის პასუხისმგებლობის განსაზღვრამ არ უნდა გამორიცხოს იმ ფიზიკური პირების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, რომლებმაც ჩაიდინეს კონკრეტული დანაშაული, წაახალისეს ის, ან დაეხმარნენ მის შესრულებაში.

იურიდიული პირების შემთხვევაშიც ღირექტივა განსაზღვრავს, რომ სასჯელი უნდა იყოს ეფექტიანი, პროპორციული და შემაკავებელი ხასიათის.

4.4. ახალი ღირექტივის პროექტი და ინიცირებული ცვლილებები

4.4.1. შესავალი

გარემოსდაცვითი დანაშაული სულ უფრო და უფრო მზარდია და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარემოს, ადამიანების ჯანმრთელობას და ეკონომიკას როგორც ევროკავშირში, ისე მის საზღვრებს გარეთ. ინტერპოლისა და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის მონაცემების მიხედვით, **გარემოსდაცვითი დანაშაული რიგით მეოთხე ყველაზე გავრცელებული დანაშაულია მსოფლიოში**. მას წინ უსწრებს მხოლოდ ნარკოტიკებით ვაჭრობა, ადამიანების ტრეფიკინგი და ფალსიფიცირება.³⁸

2019-2020 წლებში ევროპულმა კომისიამ შეაფასა გარემოსდაცვითი დანაშაულის შესახებ მოქმედი ღირექტივა და ის შედეგები, რომლებიც ამ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით ღირექტივის მიღებამ გამოიწვია წევრ სახელმწიფოებში.³⁹ ამ პროცესში ასევე შეფასდა გერმანიის, შვედეთისა და ლიეტუვის მაგალითები. შესაბამისად, გაანალიზებული საკითხები და გამოკვეთილი პრობლემები აქტუალურია მათ შემთხვევაშიც.

³⁸ გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა, „გარემოსდაცვითი დანაშაული“, ხელმისაწვდომია: <https://www.unep.org/news-and-stories/story/environmental-crime>, ბოლო ნახვა: 19.04.2022.

³⁹ გარემოსდაცვითი დანაშაულის ღირექტივის შეფასება (ი 16).

საბოლოოდ, შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ ღირექტივის მოქმედება პრაქტიკაში არ იყო ეფექტიანი:

- ბოლო 10 წლის განმავლობაში (2010-იდან 2020 წლამდე) წარმატებით გამოძიებული საქმეებისა და გამოყენებული სისხლისსამართლებრივი სასჯელების სტატისტიკა ძალიან დაბალი იყო;
- გარემოსდაცვითი დანაშაულისთვის განსაზღვრული სანქციები არ იყო ისეთი მკაცრი, რომ მათ შემაკავებელი ძალა ჰქონოდათ;
- ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა არ იყო სისტემატური ხასიათის;
- მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოვლინდა ადსრულების მიმართულებით, მათ შორის, პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოების საქმიანობაში;
- ხარვეზები გამოვლინდა რესურსების, სპეციალიზებული ცოდნის, ცნობიერების, პრიორიტეტების, თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით;
- გამოიკვეთა, რომ არ არსებობდა ეროვნული გეგმები, რომელთა შესაბამისადაც უნდა წარმართულიყო ბრძოლა გარემოსდაცვით დანაშაულებთან;
- გამოვლინდა ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეების ადსრულებასა და სანქციებს შორის მკვეთრი გამოიჯვნის ნაკლებობა;
- გამოიკვეთა აღმასრულებლებს შორის არასათანადო კოორდინაცია, რაც ხშირად მათი საქმიანობის არაქმედითობის მიზეზი ხდებოდა;
- გამოჩნდა, რომ არ არსებობს გარემოსდაცვითი დანაშაულის შესახებ სარწმუნო, ზუსტი და სრული სტატისტიკური მონაცემები, რაც ხელს უშლის ქვეყნებს, ეროვნულ დონეზე პოლიტიკის განსაზღვრის დროს შეაფასონ მათ მიერ მიღებული ზომების ეფექტიანობა.

სწორედ ამ შეფასებასა და გამოვლენილ პრობლემებზე დაყრდნობით, ევროპულმა კომისიამ გადაწყვიტა, მიიღოს ახალი ღირექტივა, რომლითაც დღეს მოქმედი დოკუმენტი ჩანაცვლდება, რათა გაუმჯობესდეს არსებული სამართლებრივი ჩარჩო და მან მეტი სიზუსტე, ეფექტიანობა შეიძინოს. ახალი ღირექტივის პროექტის მიხედვით, ის 6 ძირითად მიზანზეა ფოკუსირებული:⁴⁰

1. მეტად ქმედითი გახდეს გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა. ახალმა მექანიზებმა შესაძლებელი უნდა გახადოს ამ ღირექტივის შესაბამისობა ევროპულ მწვანე გარიგებასთან,⁴¹ რომლის მიხედვით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ გარემოსდაცვით დანაშაულთან ბრძოლაა. შესაბამისად, ღირექტივამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს გლობალური კლიმატის ცვლილების კრიზისთან გასამკლავებლად, გარემოს დეგრადაციისა და დაბინძურებისაგან დასაცავად, ბუნების შენარჩუნებისა და, ზოგადად, გარემოსდაცვითი სამართლის უზენაესობის დასაცავად.

⁴⁰ ევროპული კომისიის წინადადება ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს სისხლის სამართლის გზით გარემოს დაცვის 2008/99/EC ღირექტივის ჩანაცვლების შესახებ (2021) COM (2021) 851 final (ახალი ღირექტივის წინადადება), 1-ლი თავი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37xg7BT>, ბოლო ნახვა: 19.04.2022.

⁴¹ ევროპული მწვანე შეთანხმება (2019) COM(2019) 640 final, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38QyulA>, ბოლო ნახვა: 19.04.2022.

2. დაზუსტდეს ბუნდოვანი ტერმინები;
3. დაწესდეს ეფექტიანი, შემაკავებელი და პროპორციული სანქციები;
4. მოხდეს ტრანსსასაზღვრო გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ხელშეწყობა;
5. გაუმჯობესდეს და მეტად ინფორმირებული გახდეს გარემოსდაცვითი დანაშაულის ირგვლივ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, რაც მიიღწევა სტატისტიკური მონაცემების სათანადოდ შეგროვებითა და ინფორმაციის მიმოცვლით;
6. გაუმჯობესდეს აღსრულება ეროვნულ დონეზე, გაიზარდოს დანაშაულის აღმოჩენის, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სანქცირების ეფექტიანობა.

ღირექტივის პროექტით შემოთავაზებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება და დამატება, კონკრეტულად:

- განსაზღვრავს ახალ სისხლისსამართლებრივ დანაშაულებს გარემოს დაცვის სფეროში;
- ადგენს კონკრეტული სანქციების ზომას;
- მეტი სამართლებრივი სიცხადისთვის აზუსტებს და განმარტავს ზოგიერთ მნიშვნელოვან ტერმინს, მაგალითად, როგორც არის: მნიშვნელოვანი ზიანი;⁴² განმარტებებმა ხელი უნდა შეუწყოს მეტ სამართლებრივ სიცხადესა და პრაქტიკის ერთგვაროვნებას;
- განსაზღვრავს აღსრულების გაძლიერებულ წესებს;
- ადგენს რეგულაციებს, რომლებმაც უნდა გააუმჯობესოს დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი პირების, ინსპექტორების, გამომძიებლების, პოლიციელების, პროკურორებისა და მოსამართლეების მუშაობის ეფექტიანობა;
- განსაზღვრავს ზომებს იმ პირთა დასახმარებლად, რომლებიც შესაბამისი დანაშაულის შესახებ ატყობინებენ უფლებამოსილ ორგანოებს და თანამშრომლობენ მათთან.⁴³ ასეთი პირები ხშირად შევიწროების მსხვერპლნი ხდებიან. ამიტომ, მნიშვნელოვანია მათი დაცვისთვის შესაბამისი ქმედითი მექანიზმების არსებობა;
- ახალი წესებით, კონკრეტული პირობების არსებობისას საზოგადოებას საშუალება მიეცემა, აქტიურად ჩაერთოს სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებულ პროცესებში.⁴⁴

ახალმა ღირექტივამ გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა უზრუნველყოს გარემოსდაცვითი დანაშაულების თავიდან აცილება და მათი რაოდენობის შემცირება. ის უნდა გახდეს გარემოსდაცვით რეგულაციებთან შესაბამისობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი

⁴² ევროპული კომისიის წინადადება ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს სისხლის სამართლის გზით გარემოს დაცვის 2008/99/EC ღირექტივის ჩანაცვლების შესახებ (2021) COM (2021) 851 final (ახალი ღირექტივის წინადადება), გვ. 13, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37xg7BT>, ბოლო ნახვა: 19.04.2022.

⁴³ იქვე, მე-13 მუხლი.

⁴⁴ იქვე, მე-14 მუხლი.

მნიშვნელოვანი დოკუმენტი. ამ კუთხით მაღალი მაჩვენებლის არსებობა კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სუფთა ჰაერის, წლისა და ნიადაგის შენარჩუნებას, ევროპის გადაშენების პირას მყოფი მცენარეებისა და ცხოველების სახეობების გადარჩენას, მათი ჰაბიტატების დაცვას.

ღირექტივის ძალაში შესასვლელად საჭიროა მისი მიღება ევროკავშირის საკანონმდებლო პროცედურების შესაბამისად, რაც მოითხოვს ევროპული კომისიისა და ევროკავშირის პარლამენტის თანხმობას. პროცესი, ჩვეულებრივ, დაახლოებით, ორი წლის განმავლობაში გრძელდება და, შესაძლოა, ღირექტივაში გარკვეული ტიპის ცვლილებები კიდევ შევიდეს.

4.4.2. ღირექტივის პროექტით განსაზღვრული ახალი ტიპის დანაშაულები

ამჟამად მოქმედი ღირექტივა განსაზღვრავს მხოლოდ 9 ტიპის გარემოსდაცვით დანაშაულს. ახალი დოკუმენტის მიხედვით კი, მათი რაოდენობა 18-მდე იზრდება.⁴⁵ ახალ სამართალდარღვევებს მიეკუთვნება შემდეგი ტიპის ქმედებები:

- სავალდებულო მოთხოვნების დარღვევით იმ პროდუქციის ბაზარზე განთავსება, რომელიც არსებით ზიანს აყენებს გარემოს მისი ფართომასშტაბიანი გამოყენების გამო;
- ქიმიკატების შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დარღვევა, რაც არსებით ზიანს აყენებს გარემოს ან ადამიანის ჯანმრთელობას;
- გემების უკანონო გადამუშავება;
- წყლის უკანონო აღება;
- გემებიდან დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩაშვება;
- ხე-ტყით უკანონო ვაჭრობა;
- ინვაზიური უცხო სახეობების შემოტანისა და გავრცელების წესების დარღვევა;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოთხოვნებისთვის გვერდის ავლა;
- ფტორირებული სათბურის აირების უკანონო წარმოება, ბაზარზე განთავსება, იმპორტი, ექსპორტი, გამოყენება, გამოყოფა ან გამოშვება.

4.4.3. ღირექტივის პროექტით განსაზღვრული სანქციები

გარემოსდაცვითი დანაშაულისთვის განსაზღვრული სასჯელის ძირითადი სახეებია თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა. ღირექტივის პროექტში კი განმარტებულია, რომ მეტი ეფექტიანობისთვის, შესაძლოა, დამატებით სხვა ტიპის სასჯელებიც იყოს აუცილებელი. ახალი წესებით შემოთავაზებულია, ერთგვარი, თანმხლები სანქციები, როგორებიცაა: ნებართვების გამოხმობა, დისკვალიფიკაცია და საჯარო ფონდებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა. ზოგჯერ შეიძლება ისინი უფრო ეფექტიანი იყოს, ვიდრე ფინანსური სანქციები, განსაკუთრებით, იურიდიული პირების მიმართ.

ამჟამად მოქმედი ღირექტივის მსგავსად, წევრ სახელმწიფოებს ახალი დოკუმენტის

⁴⁵ ახალი ღირექტივის წინადადება (n 25), მე-3 მუხლი.

პროექტიც აძლევს საშუალებას, თავიანთი სამართლებრივი ტრადიციების მიხედვით, იურიდიულ პირებს, სისხლისსამართლებრივის გარდა, სხვა ტიპის სანქციებიც დააკისრონ.

ღირექტივის პროექტი იმ სამართალდარღვევისთვის, რომელმაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი ან მისი მნიშვნელოვანი დაზიანება, პატიმრობის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრავს 10 წელს,⁴⁶ სხვა დანარჩენი დანაშაულების უმეტესობისთვის - 6 წელს, რამდენიმე მათგანისთვის კი - 4 წელს.⁴⁷

ფიზიკური პირებისთვის ასევე დადგენილია ახალი დამატებითი სანქციები, როგორებიცაა:

- გარემოს აღდგენის ვალდებულების დაკისრება;
- ჯარიმა;
- სახელმწიფო დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა;
- იმ ტიპის დაწესებულებების მართვის უფლებამოსილების შეზღუდვა, რომელიც დანაშაულის ჩადენისთვის გამოიყენებოდა;
- ნებართვისა და ავტორიზაციის გამოხმობა;
- არჩევით საჯარო თანამდებობებზე კენჭისყრაში მონაწილეობის დროებით შეზღუდვა;
- სასამართლო გადაწყვეტილების პროაქტიულად, საჯაროდ გამოქვეყნება.⁴⁸

იურიდიული პირებისთვის ახალი ღირექტივის პროექტი ითვალისწინებს შემდეგი ტიპის სანქციებს:⁴⁹

- სისხლისსამართლებრივი ჯარიმა, რომლის ოდენობაც არ უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური ხასიათის, არამედ, უნდა ჰქონდეს რეალურად შემაკავებელი ეფექტი;
- განსაზღვრულ ვადაში გარემოს აღდგენის ვალდებულების დაკისრება;
- სასამართლო ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა;
- ლიკვიდაცია სასამართლო განაჩენის საფუძველზე;
- საჯარო ფონდებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, მათ შორის, საჯარო ტენდერში მონაწილეობის, საჯარო გრანტის მიღების, კონკრეტული შეღავათებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა;
- საქმიანობის დროებით შეზღუდვა;
- კონკრეტული სამეწარმეო საქმიანობის გაგრძელების დროებითი ან სამუდამო აკრძალვა;
- ნებართვისა და ლიცენზიის ჩამორთმევა;
- საქმიანობის ადგილის დროებითი ან სამუდამო დახურვა;⁵⁰

⁴⁶ იქვე, მე-5 მუხლი.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ იქვე, მე-6 და მე-7 მუხლები.

⁵⁰ იგულისხმება იმ დაწესებულების დროებითი ან მუდმივი დახურვა, სადაც დანაშაული იყო ჩადენილი.

- Due Diligence სქემების დანერგვა გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობის გაუმჯობესებისთვის;
- სასამართლო გადაწყვეტილების პროაქტიულად, საჯაროდ გამოქვეყნება და სხვა.

დირექტივის პროექტის მიხედვით, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს დოკუმენტით განსაზღვრული 15 ტიპის დანაშაულის ჩადენის მცდელობაც. ასევე, მოქმედის მსგავსად, ახალი დირექტივაც დანაშაულად მიიჩნევს ამ დანაშაულების წაქეზებას, წახალისებასა და დახმარებას.⁵¹

გარდა ამისა, გარემოსდაცვითი დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლები, ისევე, როგორც ის ინსტრუმენტები, რომლებიც მისი ჩადენისას გამოიყენებოდა, შესაძლოა, გაიყინოს ან დაექვემდებაროს კონფისკაციას ევროკავშირის 2014/42/EU დირექტივის მიხედვით.⁵²

პროექტი ასევე განსაზღვრავს 10 დამამძიმებელ და 2 შემამსუბუქებელ გარემოებას, რათა სასჯელი იყოს მეტად ეფექტიანი, პროპორციული და შესაბამისი.

- დამამძიმებელ გარემოებებში გათვალისწინებულია ის, თუ რა ზიანი მიაღდა გარემოს, იყო თუ არა სახეზე ორგანიზებული დანაშაული, მიიღო თუ არა სამართალდამრღვევა უკანონო მოგება ან იყო თუ არა მოსალოდნელი მისი მიღება, ითანამშრომლა თუ არა, ან ხომ არ შეუშალა ხელი გამოძიებას.⁵³
- შემამსუბუქებელი გარემოებები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სამართალდამრღვევი თანამშრომლობს ამა თუ იმ ორგანოსთან, აწოდებს მას ისეთ ინფორმაციას, რომლის სხვაგვარად მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა, ან გამოასწორებს ზიანს და აღადგენს გარემოს მის პირვანდელ მდგომარეობამდე.⁵⁴

4.4.4. ეფექტიანი აღსრულება

ახალი დირექტივის პროექტის ფარგლებში ევროპულმა კომისიამ ასევე აღიარა, რომ საჭიროა არა მხოლოდ საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება, არამედ პრაქტიკაში ნორმების უფრო ეფექტიანად აღსრულება. შესაბამისად, პროექტი წევრ სახელმწიფოებს განუსაზღვრავს ახალ წესებს და ვალდებულებებს. კონკრეტულად:

- დირექტივის პროექტით ხანდაზმულობის ვადად განსაზღვრულია 10, 6 და 4 წელი და აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც სამართალდარღვევა ჩადენილი იყო იმ დანაშაულებისთვის, რომლებისთვისაც პასუხისმგებლობის ზომად, შესაბამისად, დადგენილია 10, 6 და 4 წელი;⁵⁵
- პროექტი აღდგენს მამხილებელთა დაცვის შესახებ ევროკავშირის დირექტივის შესაბამისად იმ პირთა დაცვის ვალდებულებას, რომლებიც გარემოსდაცვითი

⁵¹ ახალი დირექტივის წინადადება (n 25), მე-4 მუხლი.

⁵² იქვე, მე-10 მუხლი.

⁵³ იქვე, მე-8 მუხლი.

⁵⁴ იქვე, მე-9 მუხლი.

⁵⁵ იქვე, მე-11 მუხლი.

დანაშაულის შესახებ ატყობინებენ შესაბამის ორგანოებს და თანამშრომლობენ მათთან;⁵⁶

- ღირექტივის პროექტი აწესებს მოთხოვნას, რომ ეროვნულ დონეზე აღმასრულებელ ორგანოებს ჰყავდეთ საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური თანამშრომლები და უზრუნველყონ მათი გადამზადება ტრენინგების საშუალებით;⁵⁷ ასევე, აუცილებელია, შესაბამის ორგანოებს გამოუყონ სათანადო რესურსები,⁵⁸ ხელი შეუწყონ თანამშრომლობას, კოორდინაციასა და ინფორმაციის გაზიარებას აღსრულების სხვადასხვა რგოლსა და სტრუქტურას შორის;⁵⁹ საგამოძიებო ორგანოებს უნდა ჰქონდეთ წვდომა შესაბამის ინსტრუმენტებზე;⁶⁰
- გარემოსდაცვითი დანაშაულის ეფექტიანი პრევენციისთვის წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ამასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას;⁶¹
- წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ეროვნული სტრატეგიები, სადაც დეტალურად განისაზღვრება გარემოსდაცვით დანაშაულთან ბრძოლის გეგმები;⁶²
- სავალდებულოა, რომ გაუმჯობესდეს და აქტიურად იწარმოებოდეს შესაბამისი ეროვნული სტატისტიკა გარემოსდაცვითი დანაშაულის აღსრულების კუთხით.⁶³

5. გერმანია

5.1. შესავალი

ევროკავშირის ღირექტივის შემოღებამდე გერმანიას უკვე ჰქონდა საკმაოდ მრავლისმომცველი სისხლისსამართლებრივი სისტემა გარემოს დაცვის სფეროში. ღირექტივის პოზიტიური გავლენა უფრო გამოიხატა არა კანონმდებლობის ცვლილებაში, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან ამ სფეროს მიმართ ყურადღების გააქტიურებაში.⁶⁴ ღირექტივის მიღების შემდეგ გარკვეული ცვლილებები მაინც გახდა საჭირო, თუმცა, მისი მასშტაბების გათვალისწინებით, ამას სამართლებრივ ჩარჩოზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

გარემოსდაცვითი დანაშაულის შესახებ შესაბამისი დებულებები ძირითადად არსებობს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსსა და ზოგიერთ სხვა გარემოსდაცვით კანონშიც, როგორებიც არის, მაგალითად, ქიმიკატების აქტი (Chemikaliengesetz), ბუნების დაცვის ფედერალური აქტი (*Bundesnaturschutzgesetz*) და ნარჩენების კუთხით არ-

⁵⁶ იქვე, მე-13 მუხლი.

⁵⁷ იქვე, მე-17 მუხლი.

⁵⁸ იქვე, მე-16 მუხლი.

⁵⁹ იქვე, მე-19 მუხლი.

⁶⁰ იქვე, მე-18 მუხლი.

⁶¹ იქვე, მე-15 მუხლი.

⁶² იქვე, მე-20 მუხლი.

⁶³ იქვე, 21-ე მუხლი.

⁶⁴ Stephan Sina, "Fighting Environmental Crime in Germany: A Country Report", Study in the framework of the European Union Action to Fight Environmental Crime research project (Berlin: Ecologic Institute 2015) 9.

სებული კანონმდებლობა.⁶⁵ თუმცა, ამ კანონების შემთხვევაში სისხლის სამართალს აქვს ადმინისტრაციული სამართლის შემავსებელი, დამხმარე ფუნქცია.

გარემოსდაცვითი დანაშაულების სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრა, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ისინი არ მიიჩნევა მცირე, უმნიშვნელო ტიპის სამართალდარღვევებად, არამედ განიხილება, როგორც სერიოზული, სოციალურად აშკარად მიუღებელი ქმედება.

როგორც აღინიშნა, გარემოსდაცვითი დანაშაულები ძირითადად თავმოყრილია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში.⁶⁶ მათ ეთმობა კოდექსის 29-ე თავი, რომელიც დასათაურებულია, როგორც „დანაშაულები გარემოს წინააღმდეგ“. მიუხედავად იმისა, რომ სათაურში გამოყენებულია ტერმინი „გარემო“, კოდექსი მის კონკრეტულ განმარტებას არ შეიცავს. სამართლებრივ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრებით, სისხლის სამართალი გარემოს დაცვაში გულისხმობს იმ ბუნებრივი პირობების დაცვას, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს და რომელიც გავლენას ახდენს მის არსებობაზე. სწორედ ამიტომ, სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულებრივი ქმედებები განსაზღვრულია გარემოს შემადგენელი ცალკეული კომპონენტების კონტექსტში, როგორებიც არის, მაგალითად: წყალი, ჰაერი, ნიადაგი და რომელთა მდგომარეობაც გავლენას ახდენს ადამიანზე.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე თავის გარდა, ზოგიერთი გარემოსდაცვითი დანაშაული, რომელიც წარმოშობს საერთო საზოგადოებრივ საფრთხეს, მოცემულია მის 28-ე თავში.⁶⁷ მაგალითად, ასეთი დანაშაული, შესაძლოა, იყოს ბირთვულ⁶⁸ და რადიაციულ საფრთხესთან დაკავშირებული ქმედებები.⁶⁹

გარემოსდაცვითი დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი სასჯელები მოიცავს პატიმრობასა და ჯარიმებს. დღესდღეობით პრაქტიკაში ყველაზე ხშირად ჯარიმა გამოიყენება, პატიმრობა კი მხოლოდ ყველაზე მძიმე შემთხვევებისთვის არის განსაზღვრული.⁷⁰

სკანდინავიური მაგალითის გათვალისწინებით, გერმანიის სამართალი ჯარიმების ოდენობას განსაზღვრავს დღიურად, რაც ნიშნავს, რომ მისი დაკისრებისას გამოითვლება, რა თანხის გამომუშავება შეუძლო პირს ერთი დღის მუშაობის შედეგად.⁷¹ თუმცა, ამ დროს, შესაძლოა, ასევე გათვალისწინებული იყოს სხვა ტიპის პირადი და ეკონომიკური მდგომარეობაც.⁷² ჯარიმა გამოიანგარიშება სასამართლოს მიერ ყველა ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, თუმცა არსებობს კანონით დადგენილი მინიმალური და მაქსიმალური ოდენობები. მინიმალური შეადგენს 5 დღის შესაბამის თანხას, მაქსიმალური კი - 360 დღისას.⁷³ ამასთანავე, დადგენილია, რომ დღიური თავის

⁶⁵ იქვე, 14.

⁶⁶ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, 29-ე თავი, ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/, ბოლო ნახვა: 19.04.2022.

⁶⁷ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი (n 49), 28-ე თავი.

⁶⁸ იქვე, 311-ე მუხლი.

⁶⁹ იქვე, 312-ე მუხლი.

⁷⁰ Sina (n 47) 18.

⁷¹ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი (n 49), მე-40 მუხლი.

⁷² იქვე, 40(3) მუხლი.

⁷³ იქვე, 40(1) მუხლი.

ნხის მინიმალური ოდენობა უნდა იყოს 1 ევრო მაინც, მაქსიმალური კი - 30000 ევრო.⁷⁴ თუ გამოთვლილი ჯარიმის ოდენობა არ აღემატება 180 დღის შესაბამის თანხას, სასამართლომ შეიძლება თავი შეიკავოს სასჯელის დაკისრებისგან და შემოიფარგლოს მხოლოდ პირის გაფრთხილებით, თუმცა ასეთ შემთხვევაში მას განესაზღვრება გამოსაცდელი პერიოდი.⁷⁵

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობს, თუმცა მას შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული სასჯელი.⁷⁶ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კი ვრცელდება პირებზე, რომლებიც დანაშაულებრივად მოქმედებდნენ კომპანიის შიგნით.⁷⁷ ამგვარ პირთა სამი კატეგორია არსებობს:

1. წამყვან თანამდებობებზე მყოფი პირები - დირექტორები, მენეჯერები, რომლებსაც აქვთ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება და მათი ავტორიტეტი ვრცელდება მთელ კომპანიაზე;
2. თანამშრომლები, რომლებზეც ამ ტიპის უფლებამოსილებებია დელეგირებული;
3. თანამშრომლები, რომლებმაც პირადად ჩაიდინეს დანაშაული.

მნიშვნელოვანია, განიმარტოს, რომ ზოგჯერ, როდესაც დანაშაულებრივი ქმედება ხორციელდება ზემდგომის დავალებით, შესაძლოა, ამ უკანასკნელს პასუხისმგებლობა დაეკისროს არა მხოლოდ, როგორც წამქეზებელს, არამედ ხელმძღვანელს, რომელმაც ირიბად, თანამშრომლის ინსტრუმენტად გამოყენებით, ჩაიდინა დანაშაული.⁷⁸ ასევე პირს შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს იმის გამო, რომ გარკვეული უფლებამოსილების სხვა პირებისთვის დელეგირების მიუხედავად, ევალუბოდა მათი კონტროლი, ან ჰქონდა მათი ფრთხილად შერჩევის ვალდებულება, რაც დაარღვია.⁷⁹ ამასთანავე, დღითიდღე მნიშვნელოვანი ხდება პასუხისმგებლობის დაკისრება იმ ადამიანებისთვისაც, რომლებსაც კომპანიაში ევალუბათ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან კომპანიის საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფა.⁸⁰

კანონმდებლობის აღსრულების კუთხით, გერმანიის სხვადასხვა მიწაზე⁸¹ შეიძლება არსებობდეს განსხვავებული ორგანიზაციული სტრუქტურა. მაგალითად, ერთ შემთხვევაში გარემოსდაცვით დანაშაულებს, სხვა დანაშაულების მსგავსად, იძიებს პოლიცია, ხოლო სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს პროკურატურა. მეორე შემთხვევაში კი ამგვარი დანაშაულების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა პოლიციისა და პროკურატურის სპეციალური დანაყოფების უფლებამოსილებაა.⁸²

⁷⁴ იქვე, 40(2) მუხლი.

⁷⁵ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი (n 49), 59-59 (c) მუხლები.

⁷⁶ გერმანიის რეგულაციების სამართალდარღვევათა აქტი (Ordnungswidrigkeitengesetz), 30-ე მუხლი.

⁷⁷ იქვე, მე-14 მუხლი.

⁷⁸ Sina (n 47) 19.

⁷⁹ იქვე.

⁸⁰ იქვე.

⁸¹ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული გერმანიაში.

⁸² Heidi Stockhaus and Christine Lucha, Development of an assessment framework on environmental governance in the EU Member States: Environmental Governance Assessment Germany (Ecologic Institute, 2019) 73.

5.2. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულები გარემოს წინააღმდეგ

5.2.1. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 324-ე მუხლი

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 324-ე მუხლი შეეხება წყლის დაბინძურების საკითხს. ამ მუხლის მიხედვით, ქმედება დანაშაულად მიიჩნევა, თუ პირი შესაბამისი ნებართვის გარეშე აბინძურებს წყალს ან სხვაგვარად უარყოფითად ცვლის მის შემადგენლობას.⁸³ ამგვარი ქმედება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით 5 წლამდე. ხოლო, თუ პირი მოქმედებს გაუფრთხილებლობით, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს.⁸⁴ ამ მუხლის მიხედვით, დასჯადია დანაშაულის ჩადენის მცდელობაც.⁸⁵

5.2.2. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 324a მუხლი

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 324a მუხლი შეეხება ნიადაგის დაბინძურებას. ამ მუხლის მიხედვით, ისჯება იმ პირის ქმედება, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევით, სხვადასხვა ნივთიერებით აბინძურებს ნიადაგს ან სხვაგვარად უარყოფითად ცვლის მის შემადგენლობას ისე, რომ ზიანს აყენებს სხვა პირის ჯანმრთელობას, ცხოველებს, მცენარეებს, სხვა ტიპის მნიშვნელოვანი ღირებულების საკუთრებას ან წყალს; დასჯადია ასევე ნიადაგის მნიშვნელოვნად დაბინძურება ან მისი შემადგენლობის უარყოფითად შეცვლა.⁸⁶

ამ ქმედებისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა ან პატიმრობა 5 წლამდე ვადით. ხოლო, თუ პირი მოქმედებს გაუფრთხილებლობით, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს.⁸⁷

ამ მუხლის მიხედვით, ისჯება დანაშაულის ჩადენის მცდელობაც.⁸⁸

5.2.3. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 325-ე მუხლი

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 325-ე მუხლი შეეხება ჰაერის დაბინძურებას. ამ მუხლის მიხედვით, დასჯადია რამდენიმე ტიპის ქმედება:

- ქმედება, როდესაც პირი ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობების დარღვევით მართავს ობიექტს, კონკრეტულად კი, ქარხანას ან მანქანა-დანადგარს (გარდა საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო ან წყლის სატრანსპორტო საშუალებები) და ის იწვევს ჰაერის იმგვარ ცვლილებას, რამაც შეიძლება დააზიანოს ადამიანის ჯანმრთელობა, ცხოველები, მცენარეები, ობიექტის გარეთ არსებული სხვა ტიპის მნიშვნელოვანი ღირებულებები.

⁸³ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი (n 49), 324 (1) მუხლი.

⁸⁴ იქვე, 324 (3) მუხლი.

⁸⁵ იქვე, 324 (2) მუხლი.

⁸⁶ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი (n 49), 324a (1) მუხლი.

⁸⁷ იქვე, 324a (3) მუხლი.

⁸⁸ იქვე, 324a (2) მუხლი.

ბის საკუთრება.⁸⁹ ეს ქმედება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე ვადით. ხოლო, თუ ის ჩადენილია გაუფრთხილებლობით, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს.⁹⁰

- ქმედება, როდესაც პირი ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობების დარღვევით მართავს ობიექტს, კონკრეტულად კი, ქარხანას ან მანქანა-დანადგარს (გარდა საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო ან წყლის სატრანსპორტო საშუალებები), რის შედეგადაც ობიექტის მიღმა ჰაერში გაიფრქვევა მავნე ნივთიერებების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ამ შემთხვევაშიც სასჯელის სახედ გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე ვადით.⁹¹ ხოლო, თუ ქმედება ჩადენილია გაუფრთხილებლობით, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს.⁹²
- ნებისმიერი პირის მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით ჩადენილი ქმედება, რის შედეგადაც ჰაერში გაიფრქვევა მავნე ნივთიერებების მნიშვნელოვანი რაოდენობა.⁹³ ამ შემთხვევაშიც სასჯელის სახედ გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე ვადით. თუ ეს ქმედება ჩადენილია დაუდევრობით, პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს.⁹⁴

ამ მუხლის მიხედვით, მავნე ნივთიერებებად მიიჩნევა ისეთი ნივთიერებები, რომლებსაც შეუძლია:

1. გამოიწვიოს სხვა პირის ჯანმრთელობის დაზიანება, ზიანი მიაყენოს ცხოველებს, მცენარეებს ან სხვა მნიშვნელოვანი ღირებულების საკუთრებას;
2. სამუდამოდ დააბინძუროს ან სხვაგვარად უარყოფითად და სამუდამოდ შეცვალოს წყლის, ჰაერისა ან ნიადაგის შემადგენლობა.⁹⁵

5.2.4. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 325a მუხლი

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 325a მუხლი შეეხება ხმაურს, ვიბრაციასა და არამაიონებელ გამოსხივებას. ამ მუხლის მიხედვით, დასჯადია ქმედება:

- როდესაც პირი ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობების დარღვევით მართავს ობიექტს, კონკრეტულად კი, ქარხანას ან მანქანა-დანადგარს (გარდა საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო ან წყლის სატრანსპორტო საშუალებები) და იწვევს ხმაურს, რომლითაც, შესაძლებელია, ზიანი მიადგეს ამ ობიექტის გარეთ მყოფი პირის ჯანმრთელობას. ამგვარი ქმედება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე ვადით.⁹⁶ თუ

⁸⁹ იქვე, 325 (1) მუხლი.

⁹⁰ იქვე, 325 (4) მუხლი.

⁹¹ იქვე, 325 (2) მუხლი.

⁹² იქვე, 325 (4) მუხლი.

⁹³ იქვე, 325 (3) მუხლი.

⁹⁴ იქვე, 325 (5) მუხლი.

⁹⁵ იქვე, 325 (6) მუხლი.

⁹⁶ იქვე, 325a (1) მუხლი.

სამართალდამრღვევი მოქმედებს გაუფრთხილებლობით, სასჯელი შეიძლება იყოს ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით.⁹⁷

- როდესაც პირი მართავს ობიექტს, კონკრეტულად კი, ქარხანას ან მანქანა-დანადგარს (გარდა საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო ან წყლის სატრანსპორტო საშუალებები), არღვევს ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ხმაურისგან, ვიბრაციისა და არამაიონებელი გამოსხივებისგან დასაცავად და ამგვარად საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, ცხოველებს, რომლებიც არ არიან მის საკუთრებაში ან სხვა მნიშვნელოვანი ღირებულების ქონებას, რომელიც ეკუთვნის სხვას. ამგვარი ქმედება ისჯება ჯარიმით ან პატიმრობით 5 წლამდე ვადით.⁹⁸ თუ სამართალდამრღვევი მოქმედებს გაუფრთხილებლობით, სასჯელი შეიძლება იყოს ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე ვადით.⁹⁹

5.2.5. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 326-ე მუხლი

სისხლის სამართლის კოდექსის 326-ე მუხლი შეეხება ნარჩენების არანებადართულ მართვას. ამ მუხლის მიხედვით, დასჯადია ქმედება, როდესაც პირი შესაბამისი ნებართვის გარეშე ავტორიზებული ობიექტის გარეთ ან სპეციალურად განსაზღვრული პროცედურის დარღვევით აგროვებს, აგზავნის, ამუშავებს, იყენებს, ინახავს, ათავსებს, ვაჭრობს ან სხვაგვარად ახდენს იმ ნარჩენების კომერციალიზაციას, რომლებიც:

- შეიცავს ან შეიძლება გამოყოს შხამები ან დაავადების გამომწვევი აგენტები, რომლებიც არის საფრთხე საზოგადოებისთვის და შეიძლება გადაეცეს ადამიანებს ან ცხოველებს;
- არის კანცეროგენური, მუტაგენური ან ადამიანების რეპროდუქციისთვის ტოქსიკური;
- არის ფეთქებადი, უცებ აალებადი ან, უბრალოდ, უმნიშვნელოდ რადიოაქტიური;
- თავისი ხასიათიდან, შემადგენლობიდან ან რაოდენობიდან გამომდინარე, შეიძლება მუდმივად დააბინძუროს ან სხვაგვარად უარყოფითად შეცვალოს წყლის, ჰაერის ან ნიადაგის შემადგენლობა, ან საფრთხე შეუქმნას ცხოველებს ან მცენარეებს.¹⁰⁰

ამ ქმედებისთვის პირი ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე ვადით. თუ ის მოქმედებს გაუფრთხილებლობით, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს.¹⁰¹

ამ მუხლის მიხედვით, დასჯადია ასევე ქმედება, როდესაც პირი ზემოთ აღწერილი ტი-

⁹⁷ იქვე, 325a (3) (1) მუხლი.

⁹⁸ იქვე, 325a (2) მუხლი.

⁹⁹ იქვე, 325a (3) (2) მუხლი.

¹⁰⁰ იქვე, 326 (1) მუხლი.

¹⁰¹ იქვე, 326 (5) (1) მუხლი.

პის ნარჩენებს აკრძალვის საწინააღმდეგოდ ან შესაბამისი ნებართვის გარეშე აგზავნის იმ ტერიტორიიდან ან იმ ტერიტორიის გავლით, რომელზეც ამ კანონის მოქმედება ვრცელდება.¹⁰² ეს ქმედება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე ვადით. თუ პირი მოქმედებს გაუფრთხილებლობით, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს.¹⁰³

ამ მუხლის მიხედვით, ასევე ისჯება ქმედება, როდესაც პირი, ადმინისტრაციული მოთხოვნების დარღვევით, რადიოაქტიურ ნარჩენებს დანიშნულების ადგილზე არ მიაწოდებს.¹⁰⁴ ამ დანაშაულისთვის განისაზღვრება ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე ვადით. თუ პირი მოქმედებს გაუფრთხილებლობით, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს.¹⁰⁵

აღსანიშნავია, რომ ეს მუხლი არ მოიზრებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევისთვის, როდესაც, ნარჩენების მცირე რაოდენობის გამო, აშკარად გამოირიცხება გარემოზე მავნე ზემოქმედება.¹⁰⁶

5.2.6. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლი

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლი შეეხება ობიექტის არაავტორიზებულ ოპერირებას. ამ მუხლის მიხედვით, დასჯადია ქმედება, თუ პირი შესაბამისი ნებართვის გარეშე ან აკრძალვის მიუხედავად:

- ოპერირებს ბირთვულ ობიექტს;¹⁰⁷
- ფლობს ექსპლუატაციაში მყოფ ან გაუქმებულ ბირთვულ ობიექტს;¹⁰⁸
- მთლიანად ან ნაწილობრივ არსებითად ცვლის ბირთვული ობიექტის მუშაობას;¹⁰⁹
- არსებითად ცვლის ქარხანას, რომელშიც გამოიყენება ბირთვული საწვავი, ან - მის მდებარეობას.¹¹⁰

ეს ქმედება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე ვადით. თუ პირი მოქმედებს გაუფრთხილებლობით, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს.¹¹¹

ამ მუხლის მიხედვით, დასჯადია ასევე ქმედება, როდესაც პირი, შესაბამისი ნებართვის ან აკრძალვის მიუხედავად:

¹⁰² იქვე, 326 (2) მუხლი.

¹⁰³ იქვე, 326 (5) (1) მუხლი.

¹⁰⁴ იქვე, 326 (3) მუხლი.

¹⁰⁵ იქვე, 326 (5) (2) მუხლი.

¹⁰⁶ იქვე, 326 (6) მუხლი.

¹⁰⁷ იქვე, 327 (1) (1) მუხლი.

¹⁰⁸ იქვე.

¹⁰⁹ იქვე.

¹¹⁰ იქვე, 327 (1) (2) მუხლი.

¹¹¹ იქვე, 327 (3) (1) მუხლი.

- ოპერირებს ობიექტს, რომელზეც ვრცელდება ემისიების კონტროლის აქტის მოქმედება (Immissionsschutzgesetz) და რომლის ფუნქციონირებაც აკრძალულია საფრთხისგან დაცვის მიზნით;¹¹²
- ოპერირებს მილსადენს, რომელიც გამოიყენება წყლის დამაბინძურებელი ნივთიერებების ტრანსპორტირებისთვის და რომელზეც ვრცელდება გარემოზე ზემოქმედების ანალიზის აქტის მოქმედება (Gesetz über die Umweltverträglichkeitsprüfung);¹¹³
- ოპერირებს ნარჩენების განთავსების ობიექტს, რომელზეც ვრცელდება ნივთიერებების დახურული ციკლის აქტის მოქმედება (Kreislaufwirtschaftsgesetz);¹¹⁴
- ოპერირებს კანალიზაციის გამწმენდ ნაგებობას, რომელზეც ვრცელდება წყლის ფედერალური კანონის (Wasserhaushaltsgesetz) მოქმედება.¹¹⁵

მოცემული ქმედებები ისჯება ჯარიმით ან პატიმრობით 3 წლამდე ვადით. თუ პირი მოქმედებს გაუფრთხილებლობით, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.¹¹⁶

5.2.7. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 328-ე მუხლი

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 328-ე მუხლი შეეხება რადიოაქტიური, სხვა საშიში ნივთიერებებისა და საქონლის არაავტორიზებულ მართვას. ამ მუხლის მიხედვით, დასჯადია ქმედება, როდესაც პირი, შესაბამისი ნებართვის ან აკრძალვის მიუხედავად, აწარმოებს, ინახავს, გადააქვს, ამუშავებს, სხვაგვარად იყენებს ან ეწევა შემდეგი ნივთიერებების იმპორტს ან ექსპორტს:

1. ბირთვული საწვავი;¹¹⁷
2. სხვა რადიოაქტიური ნივთიერებები, რომლებსაც თავისი ბუნებით, შემადგენლობით ან რაოდენობით შეუძლია:
 - გამოიწვიოს სხვისი სიკვდილი;
 - სერიოზული ზიანი მიაყენოს სხვის ჯანმრთელობას;
 - სერიოზული ზიანი მიაყენოს ცხოველებს, მცენარეებს, წყალს, ჰაერს ან ნიადაგს.¹¹⁸

ასეთი ქმედება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე ვადით. თუ პირი მოქმედებს გაუფრთხილებლობით, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს.¹¹⁹

დასჯადია ასევე ქმედება, თუ პირი:

¹¹² იქვე, 327 (2) (1) მუხლი.

¹¹³ იქვე, 327 (2) (2) მუხლი.

¹¹⁴ იქვე, 327 (2) (3) მუხლი.

¹¹⁵ იქვე, 327 (2) (4) მუხლი.

¹¹⁶ იქვე, 327 (3) (2) მუხლი.

¹¹⁷ იქვე, 328 (1) (1) მუხლი.

¹¹⁸ იქვე, 328 (1) (2) მუხლი.

¹¹⁹ იქვე, 328 (5) მუხლი.

1. ვერ აწოდებს ბირთვულ საწვავს, რომლის დაუყოვნებლივ მიწოდების ვალდებულებაც ატომური ენერჯის აქტით (Atomgesetz) არის მოთხოვნილი;¹²⁰
2. აწოდებს ბირთვულ საწვავს ან ზემოთ ჩამოთვლილ სხვა ნივთიერებებს არაუფლებამოსილ პირებს;¹²¹
3. იწვევს ბირთვულ აფეთქებას, ან აიძულებს სხვა პირს, ჩაიდინოს ეს დანაშაული, ან მხარს უჭერს მის ჩადენას.¹²²

ეს ქმედებაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე ვადით.

ამ მუხლის მიხედვით, ასევე დასჯადია ქმედება, როდესაც პირი:

- რომელიც ოპერირებს ობიექტს, კერძოდ, ქარხანას ან დანადგარს, ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დარღვევით ეწევა ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის No1272/2008 რეგულაციის მესამე მუხლით გათვალისწინებული რადიოაქტიური და სხვა სახიფათო ნივთიერებების, ასევე მათი ნარევების ექსპლუატაციას, ინახავს, ამუშავებს ან სხვაგვარად იყენებს მათ;¹²³
- ეწევა სახიფათო საქონლის ტრანსპორტირებას, გზავნის, ფუთავს, ტვირთავს, იღებს ან აწოდებს მას სხვას.¹²⁴

ეს ქმედებები დასჯადია, თუ ისინი საფრთხეს უქმნის სხვის ჯანმრთელობას, ცხოველებს, მცენარეებს, წყალს, ჰაერს, ნიადაგს ან მნიშვნელოვანი ღირებულების სხვა ტიპის საკუთრებას. ამ შემთხვევაში სასჯელის სახედ განსაზღვრულია ჯარიმა ან პატიმრობა 5 წლამდე ვადით.

5.2.8. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 329-ე მუხლი

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 329-ე მუხლი შეეხება დაცულ ტერიტორიებს. ამ მუხლის მიხედვით, დანაშაულად მიიჩნევა დაცული ტერიტორიებისთვის საფრთხის შექმნა და სხვადასხვა ტიპის ქმედებით მასში მნიშვნელოვანი ჩარევა.¹²⁵ ასეთი ქმედებები, შესაძლოა, მოიცავდეს შემდეგს:

- დაცულ ტერიტორიებზე გარკვეული ობიექტების ოპერირება, რომლებიც აბინძურებს გარემოს ან იწვევს ხმაურს;
- წყლისა და თერმული წყლების კონსერვაციის ადგილებში ისეთი ობიექტების ოპერირება, სადაც მუშავდება წყლისთვის საფრთხის შემცველი ნივთიერებები;
- იმ მილსადენების ოპერირება, რომლებიც გამოიყენება წყლისთვის სახიფათო ნივთიერებების ტრანსპორტირებისთვის;

¹²⁰ იქვე, 328 (2) (1) მუხლი.

¹²¹ იქვე, 328 (2) (2) მუხლი.

¹²² იქვე, 328 (2) (3) მუხლი.

¹²³ იქვე, 328 (3) (1) მუხლი.

¹²⁴ იქვე, 328 (3) (2) მუხლი.

¹²⁵ იქვე, 329-ე მუხლი.

- კომერციული საქმიანობის ფარგლებში ხრეშის, ქვიშის, თიხის ან სხვა მყარი ნივთიერებების მოპოვება;
- ეროვნული პარკის ან დაცულ ტერიტორიაზე მინერალური რესურსების, ნიადაგის სხვა კომპონენტების მოპოვება, ამოღება, გათხრების წარმოება, წყლის ობიექტების შექმნა, შეცვლა, დაშლა, ჭაობების ამოშრობა, ტყეების გაკაფვა, ბუნების დაცვის ფედერალური აქტით (*Bundesnaturschutzgesetz*) განსაზღვრული სპეციალურად დაცული ცხოველების სახეობების მიერ დადებული კვრცხების სრულად ან ნაწილობრივ განადგურება, ბუნებიდან ამოღება, ნადირობა, დაჭერა;
- სპეციალურად დაცული მცენარეების სახეობების დაზიანება, ბუნებიდან ამოღება;
- შენობის აღმართვა;
- Natura 2000-ის ტერიტორიის, სპეციალურად დაცული სახეობების, ჰაბიტატების, გარეული ფრინველების, გარეული ცხოველებისა და მცენარეების დაზიანება.

ამ დანაშაულებისთვის დადგენილია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში მერყეობს 2-დან 5 წლამდე.

5.2.9. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 330-ე მუხლი

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 330-ე მუხლი შეეხება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს გარემოს წინააღმდეგ, რომელთათვისაც გათვალისწინებულია შედარებით მკაცრი სასჯელები. პატიმრობის ვადა ასეთ დროს, შესაძლოა, 6 თვიდან 10 წლამდე განისაზღვროს.¹²⁶

ასეთი ტიპის დანაშაულებად მიიჩნევა შემთხვევები, როდესაც ქმედება:

- იწვევს წყალში, ნიადაგს ან დაცულ ტერიტორიაზე ისეთი ტიპის ჩარევას, რომლის შედეგების აღმოფხვრაც შეუძლებელია, ან ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ უდიდესი დანახარჯებით ან ხანგრძლივი დროის შემდეგ;
- საფრთხეს უქმნის საჯარო წყალმომარაგებას;
- სამუდამოდ აზიანებს განსაკუთრებულად დაცული სახეობის ცხოველთა ან მცენარეთა პოპულაციებს;
- ჩადენილია ანგარებით;
- განზრახ საფრთხეს უქმნის სხვა ადამიანის სიცოცხლეს;
- განზრახ მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სხვის ჯანმრთელობას;
- განზრახ უქმნის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საფრთხეს ადამიანთა დიდ რაოდენობას;
- იწვევს ადამიანის სიკვდილს.

¹²⁶ იქვე, 330-ე მუხლი.

5.2.10. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 330a მუხლი - მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნა შხამების გამოყოფით

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 330a მუხლი შეეხება შხამების გამოყოფით მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნას.¹²⁷ კერძოდ, სისხლისსამართლებრივად ისჯება ქმედება, როდესაც პირი გარემოში ავრცელებს ან გამოაფრქვევს შხამების შემცველ ან გამომყოფ ნივთიერებებს, რითაც იწვევს სხვა ადამიანის სიკვდილს, ჯანმრთელობის მნიშვნელოვან დაზიანებას, ან საფრთხეს უქმნის დიდი რაოდენობით ადამიანების ჯანმრთელობას. ეს ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთიდან 10 წლამდე ვადით. ხოლო, თუ ამგვარი ქმედება გამოიწვევს ადამიანის სიკვდილს, მინიმალურ სასჯელად განსაზღვრულია სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

თუ ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია გაუფრთხილებლობით, პირს ეკისრება ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე ვადით.¹²⁸ დაუდევრობის შემთხვევაში პატიმრობის ვადა არ უნდა გასცდეს 3 წელს.¹²⁹

5.2.11. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 330b მუხლი

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს გარკვეული ტიპის შემარბილებელ გარემოებებს. კოდექსის 330b მუხლის მიხედვით, ეს შეიძლება იყოს:

- შემთხვევა, როდესაც სამართალდამრღვევი თავადვე უზრუნველყოფს საფრთხის თავიდან არიდებას, ან გამოასწორებს მდგომარეობას მნიშვნელოვანი ზიანის დადგომამდე;
- შემთხვევა, როდესაც საფრთხე თავიდან იყო არიდებული, ან უკანონო ქმედებით გამოწვეული მდგომარეობა გამოსწორდა სამართალდამრღვევის აქტიური ქმედების გარეშე, თუმცა აშკარა იყო მისი სურვილი და ძალისხმევა ამ თვალსაზრისით.

5.2.12. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 330c მუხლი

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 330c მუხლის მიხედვით, კონფისკაციას ექვემდებარება საგნები, რომლებიც:

- დანაშაულის შედეგად მიიღო პირმა;
- გამოიყენებოდა ან განკუთვნილი იყო დანაშაულის ჩადენის ან მისი მზადების პროცესში;
- სხვა საგნები, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულთან.

¹²⁷ იქვე, 330a მუხლი.

¹²⁸ იქვე, 330a (4) მუხლი.

¹²⁹ იქვე, 330a (5) მუხლი.

5.3. პრაქტიკის შეჯამება

გერმანიაში 2008-2018 წლებში გარემოსდაცვითი დანაშაულისთვის სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენების ოდენობა დაახლოებით 1100-იდან 1600-მდე მერყეობდა, რაც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაღალი მაჩვენებელია.¹³⁰ თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია, რომ მოცემული სტატისტიკა არ ასახავს იმ რეალურ მდგომარეობას, რომელიც შეიძლება გარემოსდაცვითი დანაშაულის კუთხით არსებობდეს გერმანიაში. ამას სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს, მათ შორის, მონაცემების ცენტრალიზებულად შეგროვების პრობლემები (მიუხედავად იმისა, რომ გერმანიას ამ მხრივ მაინც მაღალი მაჩვენებელი აქვს)¹³¹ ან ამგვარი დანაშაულის აღმოჩენასთან დაკავშირებული სირთულეები.¹³² 2004-2016 წლებში, სრულმასშტაბიანი კვლევების მიხედვით, გარემოსდაცვითი დანაშაულების ოდენობამ იკლო.¹³³ ამის უმთავრეს მიზეზად შესაბამისი ორგანოების შემცირებული შესაძლებლობები და რესურსები დასახელდა.

ამავე კვლევის მიხედვით, 2016 წელს გარემოსდაცვითი დანაშაულების უმეტესობა დაკავშირებული იყო ნარჩენების უნებართვო მართვასთან. სხვა ტიპის სამართალდარღვევების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია.¹³⁴ ამ წელს მხოლოდ 78 პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, 1813-ს კი - სისხლისსამართლებრივი ჯარიმა. აქედან, შედარებით მაღალი სახდელი დაეკისრა დამნაშავეთა 7%-ს, დანარჩენს კი - მცირე ოდენობა.¹³⁵

ევროკავშირის დირექტივის ეფექტიანობის შეფასებისას გაანალიზდა გერმანიის კანონმდებლობა და მისი აღსრულების პრაქტიკა დირექტივით განსაზღვრულ კონკრეტულ დანაშაულებთან მიმართებით. ისევე, როგორც სხვა ქვეყნების შემთხვევაში, გერმანიაშიც გამოიკვეთა დირექტივის მეტად დახვეწისა და გამკაცრების საჭიროება, რათა უფრო ქმედითი გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ბრძოლა გარემოსდაცვითი დანაშაულის წინააღმდეგ. ამასთანავე, შეფასების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის ზომები ზოგ შემთხვევაში სხვა ქვეყნებთან შედარებით მკაცრია, არ მიიჩნევა საკმარისად. კონკრეტულად:

- ფიზიკური პირებისთვის დაკისრებული ჯარიმების მაქსიმალური ოდენობა ყველა დანაშაულისთვის შეადგენს 10,800,000 ევროს, რაც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.¹³⁶ ასევე, გერმანიას თავისუფლების აღკვეთის გაცილებით მაღალი ვადები აქვს, რაც ყველაზე მძიმე შემთხვევაში შეიძლება შეადგენდეს 15 წელს.¹³⁷

¹³⁰ გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამსახური, „მსჯავრდებულები წლების, ეროვნების, სქესის, ასაკობრივი ჯგუფებისა და დანაშაულის სახეების მიხედვით“, ხელმისაწვდომია: https://www.destatis.de/EN/Themes/Government/Justice/_node.html, ბოლო ნახვა: 19.04.2022.

¹³¹ Stockhaus and Lucha (n 65) 39.

¹³² German Environment Agency, „Environmental offences in Germany 2016: a statistical analysis“, 4, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3MfIOIA>, ბოლო ნახვა: 19.04.2022.

¹³³ იქვე, 5-6.

¹³⁴ იქვე, 8.

¹³⁵ იქვე, 11.

¹³⁶ გარემოსდაცვითი დანაშაულის დირექტივის შეფასება (n 16) 31.

¹³⁷ იქვე, 32.

- იურიდიული ჰირებისთვის დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 10 მილიონ ევროს, თუ სახეზეა განზრახვა, ხოლო 5 მილიონს - გაუფრთხილებლობის შემთხვევაში.¹³⁸

6. შვედეთი

6.1. შესავალი

შვედეთში გარემოსდაცვითი დანაშაული არ არის სისხლის სამართლის კოდექსის ნაწილი.¹³⁹ მას სპეციალურად ეძღვნება გარემოსდაცვითი კოდექსის 29-ე თავი.¹⁴⁰ აუცილებელია, განიმარტოს, რომ ამგვარი მიდგომა არ აკნინებს გარემოსდაცვითი დანაშაულის მნიშვნელობას, ვინაიდან შვედეთში დამკვიდრებული ერთგვარი სამართლებრივი ტრადიციის მიხედვით, სისხლის სამართლის კოდექსთან ერთად, ცალკეული ტიპის დანაშაულებისთვის გამოიყენება სპეციალური კანონებიც, როგორებიცაა, მაგალითად, კანონი ნარკოტიკების ან საგადასახადო დანაშაულების შესახებ.¹⁴¹

შესაბამისად, დღესდღეობით ყველა ტიპის გარემოსდაცვითი დანაშაული თავმოყრილია სწორედ გარემოსდაცვით კოდექსში, რომელიც ძირითად სანქციებად განსაზღვრავს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით. უფრო მძიმე სამართალდარღვევების შემთხვევაში კი ეს ვადა 6 თვიდან 6 წლამდე მერყეობს.

ქმედების შეფასებისას ყურადღება ექცევა გამოწვეული ან სავარაუდო ზიანის სიმძიმესა და ხანგრძლივობას, ასევე იმას, არის თუ არა ის სხვაგვარად განსაკუთრებით სახიფათო.¹⁴²

გარემოსდაცვითი კოდექსის 29-ე თავმა 2007 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. რეფორმის დროს ერთ-ერთ არსებით პრობლემად გამოიკვეთა ის, რომ გარემოსთვის მიყენებული ზიანი ხშირად არ იყო კონკრეტული და აშკარა, რაც აღსრულების პროცესს ართულებდა.¹⁴³ მაგალითად, მავნე ნივთიერებების ჩაშვებით გამოწვეული შედეგები, შესაძლოა, დროში გაიწელოს და დანაშაულის ჩაღწევისას არ იყოს ხილვადი ან გაზომავდი, შესაბამისად, ვერ მოხდეს სათანადო რეაგირება და პასუხისმგებლობის განსაზღვრა. ეს პრობლემა 2007 წლის რეფორმის ფარგლებში კოდექსში გაკეთებული სპეციალური განმარტებით გადაიჭრა. განისაზღვრა, რომ გარემოსდაცვითი დანაშაულის (მავნე ნივთიერებების ჩაშვება) შემთხვევაში საჭირო არ არის რაიმე მტკიცებულების არსებობა ქმედებით გამოწვეული ფაქტობრივი ზიანის შესახებ. არამედ საკმარისია მხოლოდ იმის შეფასება, რომ ჩაშვებული ნივთიერება პოტენციურად საზიანო იყო გარემოსთვის.¹⁴⁴

¹³⁸ იქვე, 39.

¹³⁹ Niels Philipsen and Michael Faure, “Country Report on Sweden”, Study in the framework of the European Union Action to Fight Environmental Crime research project (2015) 6.

¹⁴⁰ შვედური გარემოსდაცვითი კოდექსი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37Ac2gh>, ბოლო ნახვა: 19.04.2022.

¹⁴¹ Philipsen and Faure (n 117) 11.

¹⁴² იქვე, 7.

¹⁴³ The Network of Prosecutors on Environmental Crime, “Manual on Prosecuting Environmental Crime in the Baltic Sea Region (2016) 40.

¹⁴⁴ იქვე, 40.

საგულისხმოა, რომ **შვედეთში პროკურატურას აქვს სპეციალიზებული დანაყოფი**, რომელიც პასუხისმგებელია და მუშაობს უშუალოდ გარემოსდაცვით დანაშაულებზე.¹⁴⁵ გარდა ამისა, 2015 წლიდან ჰყავს ახალი ეროვნული პოლიცია, რომელიც შვიდ რეგიონულ პოლიციად იყოფა. თითოეულს თავის გეოგრაფიულ არეალში აქვს სრული უფლებამოსილება ნებისმიერი ტიპის საპოლიციო ქმედებისთვის.¹⁴⁶ გარემოსდაცვით დანაშაულს დღესდღეობით ისინი, ლოკალურის ნაცვლად, სწორედ რეგიონულ დონეზე ებრძვიან. პრაქტიკაში ამ ტიპის ორგანიზაციულმა სტრუქტურამ ხელი შეუწყო საპოლიციო რესურსების კონცენტრაციას და ჩამოაყალიბა გამოძიების ერთგვაროვანი სისტემა. **ყველა გამომძიებელს ამ უწყებაში მიღებული აქვს სპეციალური განათლება გარემოსდაცვით სამართალსა და საბუნებო მეცნიერებაში.**¹⁴⁷ გემებიდან წყლის დაბინძურების საქმეებს კი, უშუალოდ, შვედეთის სანაპირო დაცვა იძიებს.

შვედეთში სხვადასხვა ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ადმინისტრაციულ გარემოსდაცვით ორგანოს აქვს უფლებამოსილება, აკონტროლოს ქარხნები, კომპანიები და სხვა საქმიანობა, რომელმაც, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს გარემოსა და ბუნებაზე. შესაბამისად, ამ ტიპის დანაშაულებს ხშირად სწორედ ისინი აღმოაჩენენ და პროკურატურას ან პოლიციას ატყობინებენ.¹⁴⁸ შეტყობინების ავტორები არცთუ იშვიათად არიან ასევე ფიზიკური პირები. მიუხედავად იმისა, როგორ მოხვდება ესა თუ ის საქმე პროკურატურაში, პროკურორი უფლებამოსილია, კანონის მიხედვით გადაწყვიტოს, დაიწყოს თუ არა გამოძიება და წაიღოს თუ არა საბოლოოდ საქმე სასამართლოში.¹⁴⁹

პროკურატურა და პოლიცია ამა თუ იმ გარემოსდაცვით დანაშაულთან დაკავშირებით ხშირად თანამშრომლობენ ადმინისტრაციულ ორგანოებთან, მაგრამ, ფორმალურად, ეს თანამშრომლობა გამოძიებისა ან სასამართლო პროცესის აუცილებელ ნაწილად არ მიიჩნევა. თუმცა, ვინაიდან შეიძლება ამ ადმინისტრაციული ორგანოებიდან პირები მოწმეებად ან ექსპერტებად მიიწვიონ სასამართლოში საქმის განხილვისას, ამ უწყებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

6.2. გარემოსდაცვითი დანაშაულები

გარემოსდაცვითი კოდექსით კონკრეტულად არ არის განმარტებული ეს დანაშაული. თუმცა, შესაძლებელია მისი შინაარსის დადგენა ამ კოდექსის დებულებებიდან გამომდინარე. ის, ძირითადად, მოიცავს ისეთ ქმედებას, რომელიც აბინძურებს ნიადაგს, წყალს ან ჰაერს, რაც საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას, ზიანი მიაყენოს ფლორას ან ფაუნას.

შვედეთის პროკურატურა თავისი შიდა დოკუმენტით გარემოსდაცვით დანაშაულს განმარტავს, როგორც კოდექსის, ასევე მასთან დაკავშირებული რეგულაციებისა და გა-

¹⁴⁵ იქვე, 17.

¹⁴⁶ იქვე.

¹⁴⁷ იქვე.

¹⁴⁸ იქვე, 22.

¹⁴⁹ იქვე.

ნკარგულებების დარღვევას.¹⁵⁰

6.2.1. გარემოსდაცვითი კოდექსის 29:1 მუხლი

გარემოსდაცვითი კოდექსის 29:1 მუხლი ითვალისწინებს რამდენიმე სახის განზრახ ან გაუფრთხილებლობით¹⁵¹ ჩადენილ ქმედებას. კონკრეტულად:

- დასჯადია ქმედება, რომელიც იწვევს ნიადაგის, წყლის ან ჰაერის დაბინძურებას და შეიცავს ან შეიძლება შეიცავდეს რისკს ადამიანის ჯანმრთელობისთვის, აზიანებს ფლორას, ფაუნას ან ქმნის სხვა მნიშვნელოვან საფრთხეს გარემოსთვის;¹⁵²
- დასჯადია მავნე ნივთიერებების ისე შენახვა, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ამგვარი რისკის შემცველი დაბინძურება.¹⁵³
- დასჯადია ქმედება, რომელიც მნიშვნელოვნად აზიანებს გარემოს ხმაურის, ვიბრაციის ან გამოსხივების საშუალებით, თუ ეს არ არის ნებადართული ან საზოგადოდ მიღებული.¹⁵⁴

სასჯელის სახედ ამ დანაშაულებისთვის განსაზღვრულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ვადით, ხოლო მძიმე სამართალდარღვევის შემთხვევაში - 6 თვიდან 6 წლამდე ვადით.

6.2.2. გარემოსდაცვითი კოდექსის 29:3 მუხლი

გარემოსდაცვითი კოდექსის 29:3 მუხლის მიხედვით, დასჯადია ქიმიურ ნივთიერებებთან ისეთი მოპყრობა, რომელიც საფრთხეს უქმნის გარემოს. შესაძლოა, ეს ქმედება ჩადენილი იყოს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით და აზიანებდეს ადამიანის ჯანმრთელობას ან გარემოს. ამ დანაშაულისთვის სასჯელის სახედ დადგენილია თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით.

6.2.3. გარემოსდაცვითი კოდექსის 29:4 მუხლი

კოდექსის 29:4 მუხლის მიხედვით, ისჯება არანებადართული საქმიანობა, რომელიც გულისხმობს:

- შესაბამისი ნებართვის გარეშე საქმიანობის დაწყებას ან გაგრძელებას;
- ნებართვის გარკვეულ პირობებთან შეუსაბამო საქმიანობას.

ამ შემთხვევაშიც ქმედება შეიძლება ჩადენილი იყოს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. სასჯელის სახედ განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით.

¹⁵⁰ *Philipsen and Faure* (n 117) 10.

¹⁵¹ შვედური გარემოსდაცვითი კოდექსი (n 118), 29:2 მუხლი.

¹⁵² იქვე, 29:2 (1) მუხლი.

¹⁵³ იქვე, 29:2 (2) მუხლი.

¹⁵⁴ იქვე, 29:2 (3) მუხლი.

6.2.4. გარემოსდაცვითი კოდექსის 29:5 მუხლი

კოდექსის 29:5 მუხლის მიხედვით, დანაშაულია გარემოსდაცვითი კონტროლისთვის ხელშეშლა განზრახ ან გაუფრთხილებლობით, მაგალითად, არასწორი ინფორმაციის მიწოდება. სასჯელის სახედ ამ შემთხვევაშიც განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით.

6.2.5. გარემოსდაცვითი კოდექსის 29:6 მუხლი

გარემოსდაცვითი კოდექსის 29:6 მუხლის მიხედვით, დანაშაულია ასევე არასრული ინფორმაციის მიწოდება, როდესაც ეს არის ამ კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულება. გარდა ამისა, დანაშაულია მცდარი ინფორმაციის მიწოდება ისეთი პროდუქტის არასწორად ეტიკეტირების გზით, რომელიც შეიცავს გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებს ან სხვა ქიმიურ ნივთიერებებს და ა.შ. ამ დანაშაულებისთვის სასჯელის სახედ განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა 1 წლამდე ვადით. ქმედება შეიძლება ჩაღენილი იყოს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით.

6.2.6. გარემოსდაცვითი კოდექსის 29:7 მუხლი

გარემოსდაცვითი კოდექსის 29:7 მუხლის მიხედვით, დანაშაულად მიიჩნევა ნარჩენებით გარემოს დაბინძურება, რისთვისაც სასჯელად განსაზღვრულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 1 წლამდე ვადით.

6.2.7. სხვა დანაშაულები

გარემოსდაცვითი კოდექსის გარდა, ამ ტიპის დანაშაულის შესახებ დებულებები შეიძლება ასევე არსებობდეს სხვა სპეციალურ კანონებში:

- წყლის დაბინძურების შესახებ კანონი, რომლითაც ხდება საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენციისა და გემებიდან დაბინძურების პრევენციის შესახებ საერთაშორისო კონვენციის იმპლემენტაცია.
- ნადირობის შესახებ კანონი, რომლითაც იკრძალება ნადირობა გარკვეულ სახეობებზე, მაგალითად, მგელზე, დათვზე, არწივზე.

2007 წელს მიღებული ცვლილებებით, გაიმიჯნა სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული სანქციები. ამის მიზანი იყო გაორმაგებული სასჯელების თავიდან არიდება და სისხლისსამართლებრივი სანქციების დაწესება მხოლოდ მნიშვნელოვანი ხასიათის სამართალდარღვევებისთვის.¹⁵⁵ მცირე სამართალდარღვევები ამჯერად სისხლის სამართლის მოქმედების სფეროს მიღმაა და მათთვის კონკრეტული ადმინისტრაციული ჯარიმებია განსაზღვრული.

¹⁵⁵ The Network of Prosecutors on Environmental Crime, “Manual on Prosecuting Environmental Crime in the Baltic Sea Region (n 121) 41-42.

შვედეთში 2006 წლიდან მოქმედებს სპეციალური კორპორაციული ჯარიმა,¹⁵⁶ რომელიც ეკისრება იურიდიულ პირებს თავიანთი საქმიანობის ფარგლებში ჩადენილი გარემოსდაცვითი დანაშაულისთვის. მისი მოთხოვნის უფლება აქვს პროკურატურას.¹⁵⁷ გარემოსდაცვითი კოდექსის 36:8 მუხლის მიხედვით, კორპორაციული ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება მინიმუმ 5 000 და მაქსიმუმ 500 მილიონი შვედური კრონით. მისი დაკისრების დროს ყურადღება ექცევა მიყენებული ზიანის ხარისხს და საფრთხის ზომას.¹⁵⁸ პრაქტიკაში ამ ჯარიმების ოდენობა მერყეობს 5000-იდან 50000 შვედურ კრონამდე.¹⁵⁹

6.3. პრაქტიკის შეჯამება

შვედეთის პოლიციის მიერ წელიწადში, საშუალოდ, 5000-მდე გარემოსა და ველური ბუნების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული აღირიცხება.¹⁶⁰ თუმცა, ლიტერატურაში ხშირად განიმარტება, რომ ამ კუთხით არ არსებობს სანდო და ყოვლისმომცველი ინფორმაცია. ეს გამომდინარეობს ამგვარი დანაშაულების გამოვლენის სირთულიდან, ვინაიდან ისინი ხშირად „თვალთახედვის მიღმა“ არსებულ ადგილებში ხდება.¹⁶¹ შედარებით მარტივია მათი აღმოჩენა გზებთან ახლოს, ხალხის ხშირი მიმოსვლის გამო. შესაბამისად, ოფიციალური მონაცემები სათანადოდ ვერ ასახავს ამ კუთხით რეალურ მდგომარეობას.

შვედეთში ყოველწლიურად დაახლოებით 300-600 გარემოსდაცვითი საქმე განიხილება სასამართლოში.¹⁶² მართალია, კოდექსის მიხედვით, ამ სამართალდარღვევებისთვის შესაძლებელია 6 წლით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, სასჯელის ძირითად სახეს აქ მაინც ჯარიმები განეკუთვნება - დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენის გამო.¹⁶³ ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება ასევე პრობაცია, რომელიც, ბრალდებულის თანხმობით, შეიძლება კომბინირებული იყოს საზოგადოებრივ შრომასთან.¹⁶⁴

ევროკავშირის დირექტივის ეფექტიანობის შეფასებისას, ასევე გაანალიზდა შვედეთის კანონმდებლობა და მისი აღსრულების პრაქტიკა დირექტივით განსაზღვრულ კონკრეტულ დანაშაულებთან მიმართებით. შეფასების შედეგად გამოიკვეთა იმ სასჯელების ზომები, რომლებიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ამგვარი დანაშაულების შემთხვევაში ეკისრებათ.

¹⁵⁶ შვედური სისხლის სამართლის კოდექსი, 36-ე თავი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3K0jhLy>, ბოლო ნახვა: 19.04.2022.

¹⁵⁷ Philipsen and Faure (n 117) 29.

¹⁵⁸ შვედური სისხლის სამართლის კოდექსი (n 135), 36-ე თავი, მე-8 მუხლი.

¹⁵⁹ Ari-Matti Nuutila, "Corporate Criminal Liability in Sweden", in *Corporate Criminal Liability and Compliance Programs*, ed. A. Fiorella and A. Stile (Rome, 2012) 5.

¹⁶⁰ Stassen and Ceccato (n 5) 404.

¹⁶¹ იქვე.

¹⁶² Philipsen and Faure (n 117) 12.

¹⁶³ იქვე.

¹⁶⁴ შვედური სისხლის სამართლის კოდექსი (n 135), 28-ე თავი, 2a მუხლი.

- ფიზიკური პირებისთვის დაკისრებული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა ყველა დანაშაულისთვის შეადგენს 150 000 შვედურ კრონს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია.¹⁶⁵
- იურიდიული პირებისთვის დაკისრებული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა კი 500 მილიონი შვედური კრონია. აღსანიშნავია, რომ მისი ოდენობა 2020 წლიდან გაიზარდა. მანამდე ის 10 მილიონ შვედურ კრონს შეადგენდა. ჯარიმის ოდენობის გაზრდის მიზანი ამ სანქციისთვის მეტი შემაკავებელი ეფექტის მინიჭებაა.¹⁶⁶

7. ლიეტუვის რესპუბლიკა

7.1. შესავალი

ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლი შეეხება უშუალოდ გარემოსდაცვით დანაშაულებს და მათთვის სასჯელის სახედ განსაზღვრავს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას.¹⁶⁷ ყველაზე მძიმე დანაშაულებისთვის თავისუფლების აღკვეთის ვადა, შესაძლოა, შეადგენდეს 6 წელს.¹⁶⁸

ლიეტუვაში ერთმანეთისგან განასხვავებენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს და სისხლისსამართლებრივ დანაშაულებს. ამ განსხვავების ძირითადი კრიტერიუმი ზიანის მოცულობაა.¹⁶⁹ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოძიებისა და შესაბამისი სანქციის დაკისრების უფლებამოსილება აქვთ რეგიონული გარემოსდაცვითი სააგენტოების ცალკეულ დეპარტამენტებს. ხშირად გარემოსდაცვითი დანაშაულების გამოძიებას სწორედ ისინი იწყებენ, რადგან პირველ ეტაპზე რთულია ზიანის მოცულობის დადგენა, შესაბამისად, იმის შეფასება, კონკრეტული ქმედება ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა თუ სისხლისსამართლებრივი დანაშაული.¹⁷⁰ თუ მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ სახეზეა ეს უკანასკნელი, საქმე გამოსაძიებლად პოლიციას ან/და რაიონულ პროკურატურას გადაეცემა.

ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165-ე მუხლის მიხედვით, პოლიცია არის ის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ნებისმიერი, მათ შორის, გარემოსდაცვითი დანაშაულის გამოძიებაზე. სწორედ ამიტომ, ზოგიერთ რაიონულ საპოლიციო განყოფილებაში შექმნილია სპეციალური დანაყოფები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კონკრეტულად გარემოსდაცვითი დანაშაულებისა და სამართალდარღვევების გამოძიებაზე (ასეთი დანაყოფი არსებობს, მაგალითად, ვილნიუსში).¹⁷¹ თუმცა, ასეთი მიდგომა ჯერჯერობით ყველგან არ არის დამკვიდრებული.

¹⁶⁵ გარემოსდაცვითი დანაშაულის ღირებულების შეფასება (n 16) 31.

¹⁶⁶ იქვე, 39.

¹⁶⁷ Organisation for Economic Co-operation and Development (OECD), Environmental Performance Reviews: Lithuania 2021, 2.4.2 თავი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vF1Qvg>, ბოლო ნახვა: 19.04.2020.

¹⁶⁸ იქვე.

¹⁶⁹ The Network of Prosecutors on Environmental Crime, "Manual on Prosecuting Environmental Crime in the Baltic Sea Region (n 121) 19.

¹⁷⁰ იქვე.

¹⁷¹ იქვე.

ამ სფეროში მოქმედი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო ორგანო ლიეტუვის გარემოს დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი გარემოს დაცვის დეპარტამენტი. ხშირად სწორედ მის მიერ ხდება დანაშაულის აღმოჩენა, რომლის შესახებაც აცყობინებს პროკურატურას და გადასცემს საქმეს.¹⁷² შესაბამისად, ამ სტრუქტურების მჭიდრო თანამშრომლობა აუცილებელია. ამ მიზნისთვის არსებობს შეთანხმებები, რომლებიც განსაზღვრავს მათ შორის კოლაბორაციას დარღვევათა გამოძიების საკითხებზე, საერთო ტრენინგებს თანამშრომლებისთვის და ა.შ.¹⁷³

ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი ქმედების სიმძიმის მიხედვით ერთმანეთისგან განასხვავებს გარემოსდაცვით დანაშაულს და გარემოსდაცვით სამართალდარღვევას.¹⁷⁴ მათი კვალიფიკაციაც ზიანის ოდენობით განისაზღვრება. ლიეტუვის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ქმედება, ძირითადად, დასჯადია, თუ ის განზრახ არის ჩადენილი, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში გაუფრთხილებლობაც საკმარისია.

ლიეტუვის სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით, შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განესაზღვროთ იურიდიულ პირებსაც, თუ ეს კონკრეტული მუხლით პირდაპირ არის დადგენილი. თუ დანაშაული ჩადენილია იურიდიული პირის მიერ, სასჯელი ეკისრება მასაც და ამ ქმედებაში ჩართულ ფიზიკურ პირსაც. ზოგადად, იურიდიული პირის დასჯადობის საკითხი წამოიჭრება მხოლოდ მაშინ, როდესაც დანაშაული ჩადინეს მაღალი თანამდებობის პირებმა და ქმედება ემსახურებოდა ამ იურიდიული პირის ინტერესებს. იურიდიული პირისთვის განსაზღვრული შესაძლო სანქციებია: ჯარიმა, საქმიანობის აკრძალვა, ლიკვიდაცია.

ლიეტუვის სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლი ასევე მოიცავს წესებს კონფისკაციის შესახებ. კონფისკაციის ობიექტი შეიძლება იყოს ის ინსტრუმენტები და საშუალებები, რომლებიც გამოიყენებოდა უშუალოდ დანაშაულის ჩასადენად, ასევე ისინი, რომლებიც მიღებულია დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, როგორც სარგებელი.

7.2. გარემოსდაცვითი დანაშაულები ლიეტუვის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

7.2.1. ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 270-ე მუხლი

ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 270-ე მუხლის მიხედვით, გარემოსდაცვით დანაშაულად მიიჩნევა განზრახ ან გაუფრთხილებლობით¹⁷⁵ ჩადენილი ქმედება, რომლითაც პირი არღვევს:

- გარემოს დაცვისა ან ბუნებრივი რესურსების სფეროში არსებულ რეგულაციებს;

¹⁷² იქვე.

¹⁷³ OECD, Environmental Performance Reviews: Lithuania 2021 (n 145) 2.4.1 თავი.

¹⁷⁴ The Network of Prosecutors on Environmental Crime, "Manual on Prosecuting Environmental Crime in the Baltic Sea Region (n 121) 19.

¹⁷⁵ ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, 270 (1) მუხლი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3K1rJum>, ბოლო ნახვა: 19.04.2022.

- ისეთი ობიექტების შეკეთებასა და მართვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს, სადაც გამოიყენება, ინახება მავნე ნივთიერებები, ან სრულდება პოტენციურად საფრთხის შემცველი სამუშაოები.¹⁷⁶

ამგვარი ქმედება დანაშაულად მიჩნევა, თუ ის საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან შეიძლება გამოიწვიოს ჰაერის, ნიადაგის, წყლის, ფლორისა და ფაუნის მნიშვნელოვანი დაზიანება ან სხვა ტიპის უარყოფითი შედეგი.

ეს ქმედება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით, ხოლო, თუ ის იწვევს უფრო დიდ ზიანს - ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 6 წლამდე ვადით.¹⁷⁷ ეს მუხლი ვრცელდება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე.¹⁷⁸

7.2.2. ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 270¹-ე მუხლი

ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 270¹-ე მუხლის მიხედვით, დანაშაულად მიიჩნევა ოზონდამშლელი ნივთიერებისა და მათი ნარევების უკანონო ფლობა. ეს გულისხმობს მათ უკანონო წარმოებას, იმპორტს, ექსპორტს, გამოყენებას ან ბაზარზე განთავსებას. სასჯელის ფორმად განისაზღვრება საზოგადოებრივი შრომა, ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ვადით. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ვრცელდება იურიდიულ პირებზეც.¹⁷⁹

7.2.3. ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 270²-ე მუხლი

ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 270²-ე მუხლის მიხედვით, დასჯადია ნარჩენების უკანონო ტრანსპორტირება სახელმწიფო საზღვარზე.

ეს გულისხმობს ქმედებას, როდესაც პირი ნებართვის გარეშე ან სამართლებრივი აქტების დებულებების სხვაგვარად დარღვევით ახორციელებს გადასამუშავებლად ან განსათავსებლად განკუთვნილი ორმოცდაათი ან მეტი ტონა არასახიფათო ნარჩენის ტრანსპორტირებას ლიეტუვის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის გავლით.¹⁸⁰ ამგვარი ქმედება ისჯება საზოგადოებრივი შრომით, ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 1 წლამდე ვადით.

იმ შემთხვევაში კი, თუ ხდება იმავე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების უკანონო ტრანსპორტირება, სანქციად განისაზღვრება ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე ვადით.¹⁸¹ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვრცელდება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე.¹⁸²

¹⁷⁶ იქვე, 270 (4) მუხლი.

¹⁷⁷ ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 270 (2) მუხლი.

¹⁷⁸ იქვე, 270 (3) მუხლი.

¹⁷⁹ იქვე, 270¹ (2) მუხლი.

¹⁸⁰ იქვე, 270² (1) მუხლი.

¹⁸¹ იქვე, 270² (2) მუხლი.

¹⁸² იქვე, 270² (3) მუხლი.

7.2.4. ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 270³-ე მუხლი

სისხლის სამართლის კოდექსის 270³-ე მუხლის მიხედვით, დანაშაულია გემებიდან ზღვის დაბინძურება.¹⁸³ ეს გულისხმობს გემიდან ზღვაში დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩაშვებას განზრახ ან გაუფრთხილებლობით, როდესაც ამგვარი ქმედება იწვევს წყლის ხარისხის გაუარესებას.¹⁸⁴

ამ დანაშაულისთვის სასჯელად განსაზღვრულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე ვადით. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვრცელდება იურიდიულ პირებზეც.¹⁸⁵

7.2.5. ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 271-ე მუხლი

ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 271-ე მუხლის მიხედვით, დანაშაულია განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი ისეთი ქმედება, რომლის შედეგად, ნადგურდება სახელმწიფო პარკი, ნაკრძალი ან სხვა დაცული ტერიტორია, დაცულ სახეობათა ბუნებრივი ჰაბიტატი, ბუნებრივი მემკვიდრეობის ტერიტორიული კომპლექსი ან ბუნებრივი მემკვიდრეობის ობიექტი. ეს ქმედება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე ვადით. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვრცელდება იურიდიულ პირებზეც.

7.2.6. ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 271¹-ე მუხლი

ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 271¹-ე მუხლის მიხედვით, დასჯადია უნებართვო მშენებლობა ან მშენებლობისთვის დადგენილი წესების დარღვევა, რაც იწვევს სამშენებლო ინციდენტს და, შესაბამისად, ადამიანის სიკვდილს, მისი ჯანმრთელობის ან საკუთრების დაზიანებას, გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას.¹⁸⁶ ეს ქმედება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 6 წლამდე ვადით. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ასევე ვრცელდება იურიდიულ პირებზე.¹⁸⁷

7.2.7. ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 272-ე მუხლი

ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 272-ე მუხლი შეეხება ნადირობასთან, თევზაობას ან ველური ფაუნის სხვაგვარად გამოყენებასთან დაკავშირებულ დანაშაულებს.

ამ მუხლის მიხედვით, დასჯადია ქმედება, თუ ის ჩადენილია, განზრახ ან გაუფრთხილებლობით, ნადირობისა ან თევზაობისთვის აკრძალულ პერიოდში, აკრძალულ ადგილას, აკრძალული წესით ან აკრძალული საშუალებებით (მაგალითად, თევზაობა

¹⁸³ იქვე, 270³ (1) მუხლი.

¹⁸⁴ იქვე, 270³ (2) მუხლი.

¹⁸⁵ იქვე, 270³ (3) მუხლი.

¹⁸⁶ იქვე, 271¹ (1) მუხლი.

¹⁸⁷ იქვე, 271¹ (2) მუხლი.

ელექტრო ან ულტრაბგერითი ხელსაწყოებით),¹⁸⁸ ასევე, როდესაც პირი სხვაგვარად უკანონოდ იყენებს ან ანადგურებს ველური ფაუნის რესურსს და აყენებს მას მნიშვნელოვან ზიანს. ამგვარი ქმედებები ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე ვადით.

მოცემული მუხლი ცალკე არეგულირებს შემთხვევებს, როდესაც პირი უკანონოდ, განზრახ ან გაუფრთხილებლობით ანადგურებს, აზიანებს ან ბუნებრივი გარემოდან იღებს ველური ფაუნის განსაკუთრებულად დაცულ სახეობებს, იძენს, ინახავს, გადააქვს, ამუშავებს ან კომერციული მიზნებისთვის იყენებს მათ, მათ ნაწილებს ან მათგან დამზადებულ პროდუქტს.¹⁸⁹ თუ ასეთი ქმედება არ იწვევს მნიშვნელოვან ზიანს განსაკუთრებულად დაცული სახეობების კონსერვაციის სტატუსთან მიმართებით, ან სახეზეა მათი მხოლოდ მცირე რაოდენობა, ის ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე ვადით. ხოლო, თუ ქმედება დაკავშირებულია დაცული სახეობების დიდ რაოდენობასთან, მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მათი კონსერვაციის სტატუსს, ან ის ჩადენილია კომერციული მიზნით, ასეთ შემთხვევაში სასჯელად განსაზღვრულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 4 წლამდე ვადით.¹⁹⁰

ეს მუხლი ასევე ადგენს სასჯელს ელექტრონული ან ულტრაბგერითი სათევზაო ხელსაწყოების უკანონო დამზადების, შექმნის, შენახვის, ტრანსპორტირებისა ან დამუშავებისთვის.¹⁹¹ სასჯელის სახეობად ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვრცელდება იურიდიული პირებზეც.¹⁹²

7.2.8. ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი

ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით, დასჯადია ქმედება, როდესაც პირი ნებართვის გარეშე ჩეხს, ანგრევს ან აზიანებს 500 კუბურ მეტრზე მეტ ტყის ფართობს ან ჭაობს.¹⁹³ სამართალდარღვევისთვის სასჯელის სახედ განსაზღვრულია საზოგადოებრივი შრომა, ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით და ის ვრცელდება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე.¹⁹⁴

7.2.9. ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 274-ე მუხლი

ლიეტუვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 274-ე მუხლი შეეხება დაცული ველური ფლორის, სოკოების ან მათი ნაწილების უკანონო კრეფას, განადგურებას, დამუშავებას ან სხვაგვარ უკანონო მფლობელობას.

კონკრეტულად, დასჯადია განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება, თუ პირი უკანონოდ ანადგურებს, აზიანებს, ბუნებრივი გარემოდან იღებს ან კრეფს, იძე-

¹⁸⁸ იქვე, 272 (1) მუხლი.

¹⁸⁹ იქვე, 272 (2) მუხლი.

¹⁹⁰ იქვე.

¹⁹¹ იქვე, 272 (4) მუხლი.

¹⁹² იქვე, 272 (5) მუხლი.

¹⁹³ იქვე, 273 (1) მუხლი.

¹⁹⁴ იქვე, 273 (2) მუხლი.

ნს, ინახავს, ამუშავებს, გადააქვს ან სხვაგვარად იყენებს ველური ფლორის დაცულ სახეობებს, სოკოებს, მათ ნაწილებს ან მათგან დამზადებულ პროდუქტს, ასევე, თუ ის ამ ქმედებით აზიანებს ველური ფლორის დაცული სახეობების, სოკოების კონსერვაციის სტატუსს, ან მოქმედებს კომერციული მიზნით.¹⁹⁵ ეს ქმედება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე ვადით.

თუ ამგვარი ქმედება მნიშვნელოვნად არ აზიანებს ველური ფლორის ან მცაცრად დაცული სახეობის სოკოების კონსერვაციის სტატუსს, ან დაკავშირებულია ზემოთ ჩამოთვლილ სახეობათა მხოლოდ მცირე რაოდენობასთან, ამ მუხლის მიხედვით, ის მიიჩნევა მხოლოდ სამართლებრივ გადაცდომად და ისჯება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ან ჯარიმით.¹⁹⁶

ამ შემთხვევაშიც, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვრცელდება იურიდიულ პირებზეც.¹⁹⁷

7.3. პრაქტიკის შეჯამება

სხვა ქვეყნების მსგავსად, ლიეტუვაშიც იკვეთება გარემოსდაცვით დანაშაულთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემები. ეს, ერთი მხრივ, არის ამგვარი დანაშაულის აღმოჩენის სირთულე, ხოლო, მეორე მხრივ, გამოყენებული სასჯელების მსუბუქი ხასიათი, რის გამოც ისინი ნაკლებად შემაკავებელი და ეფექტიანია.

ლიეტუვაში პროკურატურისთვის გადაცემული თითქმის ყველა საქმე, რომელიც გარემოსდაცვით დანაშაულს შეეხება, სასამართლომდე მიდის. თუმცა, პრაქტიკაში მათი რაოდენობა დიდი არ არის.¹⁹⁸ 2015-2019 წლებში, ყოველწლიურად, სასამართლოები ასეთი ტიპის, საშუალოდ, 18 საქმეს განიხილავდნენ, მაგრამ მხოლოდ ნახევართან დაკავშირებით გამოჰქონდათ გამამტყუნებელი განაჩენი და შესაბამის სასჯელს ნიშნავდნენ.¹⁹⁹ მაგალითად, 2016 წლის მონაცემებით, სასამართლოებმა განიხილეს 15 საქმე, რომლებიც გარემოსთან დაკავშირებულ დანაშაულებს შეეხებოდა.²⁰⁰ აქედან:

- 5 საქმე უკავშირდებოდა დაცული ტერიტორიების დაზიანებას;
- 3 საქმე - უკანონო ნადირობას, თევზაობას ან ველური ფაუნის სხვაგვარად უკანონოდ გამოყენებას;
- 3 საქმე - გარემოსდაცვითი რეგულაციებისა ან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესების დარღვევას;
- 1 საქმე - ტყის უკანონო გაჩეხას ან ჭაობების განადგურებას;
- 1 საქმე - ოზონდამშლელი ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობას.

¹⁹⁵ იქვე, 274 (1) მუხლი.

¹⁹⁶ იქვე, 274 (2) მუხლი.

¹⁹⁷ იქვე, 274 (3) მუხლი.

¹⁹⁸ ლიეტუვის სასამართლოები, სტატისტიკური მონაცემები, ხელმისაწვდომია: <https://www.teismai.lt/en/courts/statistics/654>, ბოლო ნახვა: 19.04.2022.

¹⁹⁹ OECD, Environmental Performance Reviews: Lithuania 2021 (n 145) 2.4.2 თავი.

²⁰⁰ Eduardas Kazakevicius, Development of an assessment framework on environmental governance in the EU Member States: Environmental Governance Assessment Lithuania (2019) 50-51.

ევროკავშირის დირექტივის ეფექტიანობის შეფასებისას გაანალიზდა ლიეტუვის კანონმდებლობა და მისი აღსრულების პრაქტიკა დირექტივით განსაზღვრულ კონკრეტულ დანაშაულებთან მიმართებით. შედეგად, გამოიკვეთა, რომ მიუხედავად ლიეტუვის კანონმდებლობით ამ საკითხების დარეგულირებისა, გამოყენებული ჯარიმების ოდენობა, შესაძლოა, არ იყოს ქმედითი ამ დანაშაულებთან ბრძოლის თვალსაზრისით და არ ჰქონდეს მათ შემაკავებელი ეფექტი.

- ლიეტუვაში დირექტივით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის ფიზიკური პირებისთვის დაკისრებული ჯარიმების მაქსიმალური ოდენობა ზოგიერთი დანაშაულისთვის შეადგენს 156 000 ევროს, ზოგისთვის კი - 78 000 ევროს.²⁰¹
- იურიდიულ პირებზე დაკისრებული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 3 900 000 ევროს.²⁰²

ჯარიმების ეს ოდენობა, ზოგიერთი სხვა ქვეყნის მონაცემთან შედარებით, დაბალია, მითუმეტეს, რომ ამ ქვეყნებშიც არ მიიჩნევა ისინი საკმარისად ეფექტიანად.

8. საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი

8.1. კანონმდებლობის ანალიზი

გარემოსთვის მიყენებული ზიანი პირდაპირ აისახება ადამიანთა ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხარისხზე, მომდევნო თაობების საარსებო პირობებზე. ჯანსაღი გარემო არის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი სიკეთე, ხოლო გარემოსთვის მიყენებული ზიანი ხშირ შემთხვევაში რთულად აღსადგენია (ზოგჯერ კი არც ექვემდებარება აღდგენას და პირვანდელი სახით დაბრუნებას). შესაბამისად, მიზანშეწონილია ამ ტიპის ქმედებებზე ყველაზე მკაცრი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა.

გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ჯერ კიდევ ძველი კოდექსით იყო განსაზღვრული. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1999 წელს მოქმედი რედაქცია 20 ამგვარი დანაშაულის შემადგენლობას იცნობდა.²⁰³ დღემდე ეს სია კიდევ 5-ით შეივსო.²⁰⁴

სს კანონით გათვალისწინებულ დანაშაულთა გვარეობით ობიექტს განეკუთვნება ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმებისთვის უვნებელი გარემოს დაცვასა და შენარჩუნებას, ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, მოსახლეობის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.²⁰⁵ ეკოლოგიურ დანაშაულთა საგანია ბუნებრივი გარემოს სხვადასხვა ელემენტი - ჰაერი, მიწა, წყალი, ცხოველები, მცენარეები და ა.შ. ანუ ბუნებრივი წარმოშობისა და გარემოსთან ეკოლოგიურად დაკავშირებული ობიექტე-

²⁰¹ გარემოსდაცვითი დანაშაულის დირექტივის შეფასება (n 16) 31.

²⁰² იქვე, 39.

²⁰³ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი (287-306).

²⁰⁴ დაემატა სისხლის სამართლის კოდექსის 287¹-ე, 306¹-ე, 289¹-ე, 302¹-ე, 304¹-ე მუხლები.

²⁰⁵ სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი II), ლეკვიშვილი და სხვები, თბილისი 2017, გვ. 171-172.

ბი, რომელთა შექმნაზეც არ არის დახარჯული ადამიანის შრომა.²⁰⁶

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეათე კარი სრულად ეთმობა **დანაშაულს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ**. მასში მხოლოდ ერთი - XXXVI თავია მოცემული სახელწოდებით „დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ“. იგი შეიცავს 25 მუხლს (287-ე-306²-ე მუხლები). აქედან ერთი ახალი 306²-ე მუხლი (უკანონო ქმედებით გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება) 2022 წლის 1-ლი ივლისიდან ამოქმედდება.

ქართული კანონმდებლობით, კრიმინალიზებულია შემდეგი ტიპის ქმედებები - სამუშაოს წარმოებისას გარემოს დაცვის წესის დარღვევა (287-ე მუხლი), სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნათა დარღვევა (287¹-ე მუხლი), გარემოსთვის საშიში ნივთიერებისა ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა (288-ე მუხლი), მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტისა ან ტოქსინისადმი მოპყრობის წესის დარღვევა (289-ე მუხლი), ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების სფეროში საქმიანობის წესების დარღვევა (289¹-ე მუხლი), ვეტერინარიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა (290-ე მუხლი), წყლით სარგებლობის წესის დარღვევა (291-ე მუხლი), წყლის დაბინძურება (292-ე მუხლი), ზღვის დაბინძურება (293-ე მუხლი), ადამიანის ჯანმრთელობისა ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობა იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც ეს ევალება (294-ე მუხლი), ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება (295-ე მუხლი), საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კანონმდებლობის დარღვევა (296-ე მუხლი), მიწის გაუვარგისება (297-ე მუხლი), წიაღისეულის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევა (298-ე მუხლი), წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე (299-ე მუხლი), უკანონო თევზჭერა (მე-300 მუხლი), უკანონო ნადირობა (301-ე მუხლი), საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ადგილსამყოფლის მოშლა (302-ე მუხლი), „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობის ცოცხალი ან არაცოცხალი ინდივიდის, ამ სახეობის ნაწილის ან დერივატის არალეგალური ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი ან ზღვიდან ინტროდუქცია (302¹-ე მუხლი), ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხა (303-ე მუხლი), ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება (304-ე მუხლი), მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის ან საშუალო მერქნის კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ტრანსპორტირება (304¹-ე მუხლი), დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა (305-ე მუხლი), საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე (306-ე მუხლი), გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება სკრინინგის ან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გარეშე (306¹-ე მუხლი).

ცვლილების შესაბამისად, რომელიც 2022 წლის 1-ლი ივლისიდან ამოქმედდება, გარემოზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შემთხვევაში პირს პასუხისმგებლობა და-

²⁰⁶ იქვე.

ეკისრება სისხლის სამართლის კოდექსის 306²-ე მუხლით. ამ მუხლის მიზნებისთვის მნიშვნელოვან ზიანში იგულისხმება გარემოს დაზიანების ისეთი დონე, რომელიც შეესაბამება „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის №1 დანართით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ზიანის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ეს მუხლი არ მოიაზრებს ფიზიკურს პირს, გარდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი **ინდივიდუალური მეწარმისა**. ამ დანაშაულისთვის გათვალისწინებულია **იურიდიული პირის** სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც და მისთვის სასჯელად განსაზღვრულია ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ლიკვიდაცია და ჯარიმა.

ამ ცვლილებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი შესაბამისობაში მოდის „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონთან, რომელიც ითვალისწინებს მკაცრ სასჯელს გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის შემთხვევაში. მნიშვნელოვანი ზიანი, კანონის პროექტის მიხედვით, განმარტებულია, როგორც გარემოზე, კერძოდ, ბიომრავალფეროვნებაზე, მიწაზე ან/და ზედაპირული წყლის ობიექტზე მიყენებული ისეთი ზიანი, რომელიც გამოწვეულია ფიზიკური ან იურიდიული პირის, ასევე სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის მიერ და გარემოს დაზიანების დონე შეესაბამება „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონის №1 დანართით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსს ემატება 306²-ე მუხლი, რომელიც აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გარემოზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისათვის.²⁰⁷

ამ ტიპის დანაშაულებრივი ქმედებები (მოქმედება თუ უმოქმედობა) არღვევს ეკოლოგიურ კანონმდებლობას და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს გარემოს დაცვისა და ბუნებით სარგებლობის სფეროში.

გარემოს დაცვის შესახებ სისხლისსამართლებრივი ნორმები ძირითადად ბლანკეტური ხასიათისაა ე.ი. მიუთითებს/გადაამისამართებს სხვა კანონზე, ნორმატიულ აქტზე.

ასევე, ხშირად წინასწარ გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პრეიუდიცია, კერძოდ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობა პირის ადმინისტრაციულსახელდებლად. მაგალითად, ასეთ დანაშაულებს მიეკუთვნება - ზღვის დაბინძურება (293-ე მუხლი), საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კანონმდებლობის დარღვევა (296-ე მუხლი), წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე (299-ე მუხლი), უკანონო თევზჭერა (300 მუხლი) და სხვა.

გარემოს დაცვის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის კანონი არც ისე მკაცრ **სასჯელებს** განსაზღვრავს. მათი უმეტესობა ნაკლებად მძიმე კატეგორიას მიეკუთვნება. მართალია, უმთავრესად სხვა სასჯელებთან ერთად ამ ტიპის დანაშაულებზე ვადიანი თავისუფლების აღკვეთაც გამოიყენება, თუმცა, როგორც წესი - მცირე ხნით. ამასთანავე, რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობა საერთოდ არ ითვალისწინებს

²⁰⁷ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, 14.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/260087>.

ვადიან თავისუფლების აღკვეთას და უფრო მსუბუქი სასჯელებით შემოიფარგლება. ასეთებია: წყლით სარგებლობის წესის დარღვევა²⁰⁸, ზღვის დაბინძურება,²⁰⁹ ადამიანის ჯანმრთელობისა ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერების, სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობა იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც ეს ევალება,²¹⁰ საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კანონმდებლობის დარღვევა,²¹¹ მიწის გაუვარგისება,²¹² წიაღისეულის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევა.²¹³

რაც შეეხება **იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას**, მას ეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი განსაზღვრავს.²¹⁴

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია მხოლოდ გარემოს დაცვის რამდენიმე წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობაზე: 287¹-ე მუხლი - სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნათა დარღვევა; 289¹-ე მუხლი - ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების სფეროში საქმიანობის წესების დარღვევა. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა განსაზღვრა ახალი 306²-ე მუხლითაც - უკანონო ქმედებით გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება.

საერთაშორისო პრაქტიკის მსგავსად, ქართულ კანონმდებლობაში უნდა გაიზარდოს გარემოს დაცვის წინააღმდეგ მიმართულ იმ დანაშაულთა წრე, რომლებზეც პასუხისმგებლობა იურიდიულ პირებსაც დაეკისრება, ვინაიდან, ფიზიკური პირების გარდა, მათ იურიდიული პირებიც (სხვადასხვა კომპანია) სჩადიან და მათი ქმედებები ზოგჯერ კიდევ უფრო დიდი მასშტაბის ზიანის მომტანია.

სტატისტიკური მონაცემები

სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში²¹⁵ აჩვენებს გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რაოდენობის თითქმის ყოველწლიურად კლების ტენდენციას. რეგისტრირებულთან შედარებით, საკმაოდ დაბალია ამ ტიპის დანაშაულის გახსნის მაჩვენებელიც.

²⁰⁸ სისხლის სამართლის კოდექსი, 291-ე მუხლი.

²⁰⁹ იქვე, 293-ე მუხლი.

²¹⁰ იქვე, 294-ე მუხლი.

²¹¹ იქვე, 296-ე მუხლი.


²¹² იქვე, 297-ე მუხლი.

²¹³ იქვე, 298-ე მუხლი.

²¹⁴ იქვე, 107²-ე მუხლი.

²¹⁵ სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/385Q30Y>.

დიაგრამა N1 - 2017-2021 წლებში 287-ე-306-ე მუხლებით რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულების სტატისტიკა



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს²¹⁶ მიერ მოწოდებული ინფორმაცია²¹⁷ წარმოდგენილია მხოლოდ პირველადი კვალიფიკაციის ფარგლებში, რომლის მიხედვითაც, 2021 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 287-ე-306¹-ე მუხლებით გამოძიების დაწყების მაჩვენებელი, ჯამში, **540** შემთხვევაა.

ცხრილი N1 - 2021 წელს გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (287-ე-306¹-ე მუხლები) გამოძიების დაწყების მაჩვენებელი

შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის მონაცემები (287-ე-306 ¹ -ე მუხლებთან მიმართებით)	
სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაული	გამოძიების დაწყების მაჩვენებელი
სამუშაოს წარმოებისას გარემოს დაცვის წესის დარღვევა (287-ე მუხლი)	1
სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნათა დარღვევა (287 ¹ -ე მუხლი)	150
წყლის დაბინძურება (292-ე მუხლი)	3
წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე (299-ე მუხლი)	34

²¹⁶ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი MIA O 22 00611247 (09.03.2022).
²¹⁷ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით, სისხლის სამართლის სტატისტიკა გამოძიების დაწყების მაჩვენებლებს განიხილავს სტატიკურად, მხოლოდ პირველადი კვალიფიკაციის ფარგლებში, შემდგომი ცვლილებების დინამიკურად გათვალისწინების გარეშე.

უკანონო თევზჭერა (მე-300 მუხლი)	116
უკანონო ნადირობა (301-ე მუხლი)	7
ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხა (303-ე მუხლი)	210
ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება (304-ე მუხლი)	3
მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის ან საშემე მერქნის კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ტრანსპორტირება (304 ¹ -ე მუხლი)	15
გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება სკრინინგისა ან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გარეშე (306 ¹ -ე მუხლი)	1

გარემოს დაცვის წესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე გამოძიების დაწყების მონაცემების მიხედვით, ჭარბობს ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხის შემთხვევები - 210 (39%). ეს დანაშაული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლით. ასევე აქტუალურია სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნათა დარღვევა. 2021 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 287¹-ე მუხლით გამოძიება 150 ფაქტზე დაიწყო, რაც ჯამში ამ ტიპის დანაშაულებზე გამოძიების დაწყების შემთხვევათა 28%-ია. ასევე, ხშირია უკანონო თევზჭერის საქმეები, რომელსაც სისხლის სამართლის კოდექსის მე-300 მუხლი არეგულირებს. გამოძიება ამ მუხლით 116 (21%) საქმეზე დაიწყო.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით,²¹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 287-ე-306¹-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე 2021 წელს ფიზიკური პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **312** ფაქტზე. იურიდიულ პირებთან მიმართებით არცერთი ამგვარი შემთხვევა არ გამოვლენილა.

ცხრილი N2 - 2021 წლის მონაცემები სსკ-ის 287-ე-306¹-ე მუხლებზე სს დევნის დაწყებასთან დაკავშირებით

2021 წელს დევნის დაწყების მაჩვენებელი ფიზიკური პირების მიმართ სსკ-ის 287-ე-306¹-ე მუხლებზე	
სსკ-ის მუხლი	პირების რაოდენობა
287 ¹	99
292	1
299	10
300	113
301	1
303	76
304 ¹	12

²¹⁸ საქართველოს გენერალური პროკურატურის პასუხი №13/11281 (28.08.2022).

დევნის დაწყების მაჩვენებელი გამოძიების დაწყების მაჩვენებლისგან განსხვავებულია. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე ხშირად სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო უკანონო თევზჭერის საქმეებზე - 113 პირის მიმართ, შემდგომ სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნათა დარღვევისა (99 პირი) და ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხის ფაქტებზე (76 პირი).

8.2. სასამართლო პრაქტიკა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით,²¹⁹ ისინი არ აწარმოებენ სასამართლო გადაწყვეტილებების სტატისტიკას და არ აქვეყნებენ შესაბამის მონაცემთა ბაზაში. ამის გამო, საიას ვერ მიაწოდეს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს²²⁰ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წლის 1-ლი იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 287-ე-306¹-ე მუხლებით და მათი ერთობლიობით განხილული იყო 4 სისხლის სამართლის საქმე 7 პირის მიმართ. აქედან ერთ საქმეზე განაჩენი გამოვიდა არსებითი განხილვით, ხოლო სამზე - არსებითი განხილვის გარეშე. ყველა მათგანზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

გარდა ამისა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114¹-ე, 64¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით, 64²-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 151¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 86¹-ე მუხლით, 128²-ე მუხლის მე-5, მე-7, მე-8 ნაწილებით, 79¹-ე მუხლით გათვალისწინებულ დარღვევებთან დაკავშირებით საქმეები ბათუმის საქალაქო სასამართლოში²²¹ არ განხილულა. 57¹-ე მუხლით გათვალისწინებულ დარღვევასთან მიმართებით სასამართლომ განიხილა 39 საქმე, 66-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 1, 86-ე მუხლით - 10, 79⁷-ე მუხლით კი - 13 საქმე.

2021 წლის 1-ლი იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში **რუსთავის საქალაქო სასამართლომ**²²² განიხილა სისხლის სამართლის კოდექსის მე-300 მუხლით დასჯადი 11 საქმე და 304¹-ე მუხლით გათვალისწინებული 1 საქმე. ყველა მათგანზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და გამოტანილი იყო გამამტყუნებელი განაჩენი. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობები თორმეტივე შემთხვევაში დარჩა განუხილველი. რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVI თავის დანარჩენ მუხლებს, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოცემულ პერიოდში ამ დანაშაულებთან დაკავშირებული საქმეები არ განუხილავს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს²²³ 2021 წლის 1-ლი იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში არ განუხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114¹-ე, 64¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით, 64²-

²¹⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს პასუხი N1-0433/4540 (23.02.2022).

²²⁰ ბათუმის საქალაქო სასამართლოს პასუხი N80 გ/კ (02.03.2022).

²²¹ ბათუმის საქალაქო სასამართლოს პასუხი N81 გ/კ (02.03.2022).

²²² რუსთავის საქალაქო სასამართლოს პასუხი N292/გ (24.02.2022).

²²³ რუსთავის საქალაქო სასამართლოს პასუხი N291/გ (24.02.2022).

ე მუხლის მე-3 ნაწილით, 64¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 151¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 86¹-ე მუხლით, 128²-ე მუხლის მე-5, მე-7, მე-8 ნაწილებით, 79¹-ე მუხლით განსაზღვრული არცერთი საქმე. ამავე პერიოდში სასამართლოში განსახილველად შევიდა 79⁷-ე მუხლით გათვალისწინებული 24 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე. აქედან 3 მათგანი გაერთიანდა, 1 გაიგზავნა განსჯადობით, ხოლო 21 საქმეზე მიღებული იყო დადგენილება. სასამართლომ ასევე განიხილა 57¹-ე მუხლით განსაზღვრული 4 საქმე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს²²⁴ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წლის 1-ლი იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVI თავით (სსკ-ის 287-306¹ მუხლებით), ასევე ამ მუხლებთან ერთობლიობით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით განხილულია - 4 სისხლის სამართლის საქმე. აქედან 1-ზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება (სსკ-ის მე-300 მუხლის მე-3 ნაწილი), ხოლო 3 საქმე (2 - სსკ-ის 287¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 1 - სსკ-ის 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილით) განხილული იყო არსებითად და მიღებულია გამამტყუნებელი განაჩენი.

ამავე პერიოდში ქუთაისის საქალაქო სასამართლომ განიხილა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹-ე მუხლით გათვალისწინებული 3 საქმე, 79⁷-ე მუხლით - 8 საქმე, ხოლო 86-ე მუხლით - 3 საქმე.²²⁵

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ²²⁶ მოცემულ პერიოდში განიხილა მხოლოდ 3 საქმე, აქედან 1 - სსკ-ის 287-ე მუხლით (საპროცესო შეთანხმებით დასრულდა), ხოლო 2 - სსკ-ის 306¹-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე (1 საქმე არსებითი განხილვით დასრულდა და გამამტყუნებელი განაჩენი დადგა, 1-ზე საპროცესო შეთანხმება გაფორმდა).

ამავე პერიოდში ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ განიხილა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷-ე მუხლით გათვალისწინებული 9 საქმე, 86-ე მუხლით - 3 საქმე, 57-ე მუხლით - 5 საქმე, ხოლო 66-ე მუხლით - 1 საქმე.²²⁷

თელავის რაიონულმა სასამართლომ²²⁸ მოცემულ პერიოდში არსებითად განიხილა სსკ-ის 287¹-ე მუხლით გათვალისწინებული 1 სისხლის სამართლის საქმე, სსკ-ის 300-ე მუხლის მე-3 ნაწილით - 4 საქმე (ოთხივეზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება), სსკ-ის 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 6 საქმე. აქედან 2-ზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, ხოლო 4 დასრულდა არსებითი განხილვით. ყველა მათგანზე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი.

თელავის რაიონულმა სასამართლომ²²⁹ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹-ე მუხლით განიხილა 9 ადმინისტრაციული სამართალ-

²²⁴ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს პასუხი N2058-1 (28.02.2022).

²²⁵ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს პასუხი N2059-1 (28.02.2022).

²²⁶ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს პასუხი N89 (24.02.2022).

²²⁷ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს პასუხი N94 (24.02.2022).

²²⁸ თელავის რაიონული სასამართლოს პასუხი N79 (01.03.2022).

²²⁹ თელავის რაიონული სასამართლოს პასუხი N78 (01.03.2022).

ლდარღვევის საქმე, 66-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 12 საქმე, 128²-ე მუხლის მე-5 ნაწილით - 7 საქმე და 128²-ე მუხლის მე-8 ნაწილით - 1 საქმე.

ზემოთ მოცემული ინფორმაცია აჩვენებს, რომ, ზოგადად, სასამართლოებს არც ისე ხშირად უწევთ გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართული საქმეების განხილვა, თუმცა ისინი ძირითადად გამამტყუნებელი განაჩენით სრულდება. გაცილებით ბევრია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები, რაც ლოგიკურიცაა, ვინაიდან არაერთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დანაშაულის წინაპირობა სწორედ ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა.

8.2.1. განაჩენები

საიამ სასამართლოებიდან მიიღო საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნილი 28 განაჩენი.²³⁰ მათი ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველა შემთხვევაში გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. ასევე, ყველა საქმეში მსჯავრდებული არის ფიზიკური პირი.

16 შემთხვევაში ბრალდება შეეხება სსკ-ის 300-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს - უკანონო თევზჭერას ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით ან სხვა აკრძალული იარაღით, ასაფეთქებელი ან მომწამლავი ნივთიერებით, თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით, ან 100 ტონის ან მასზე ნაკლები საერთო ტევადობის, 8 მეტრზე მეტი სიგრძის ან 100 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის წყლის სატრანსპორტო საშუალებიდან თევზსარეწი იარაღით, რომელიც ჩადენილია აკრძალულ დროს, აკრძალულ ადგილას, ასევე საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს, ეკოლოგიური უბედურების ზონაში ან სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის ან მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიაზე.

ამ დანაშაულისთვის რამდენიმე ალტერნატიული სასჯელის სახეა გათვალისწინებული: ჯარიმა, გამასწორებელი სამუშაო ორ წლამდე ვადით ან თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით.

როგორც შესწავლილი განაჩენები აჩვენებს, საქმეთა უმრავლესობა - 75% (21 საქმე) **საპროცესო შეთანხმებით დასრულდა**, დანარჩენ 25% (7 საქმე) შემთხვევაში სასამართლომ საქმე არსებითად განიხილა და ყველა მათგანზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. ასევე ყველა საქმეში ბრალდებული აღიარებდა და ინანიებდა წარდგენილ ბრალდებას.


საფელისხმოა სასჯელების ტენდენცია - საპროცესო შეთანხმებით და საქმის არსებითი განხილვის შედეგად, მსჯავრდებულებისთვის მსგავსი სასჯელი ინიშნება, ან, ზოგჯერ, არსებითი განხილვით - უფრო მსუბუქი კი, რაც სასამართლოს მხრიდან ამ

²³⁰ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 4 განაჩენი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს - 4, რუსთავის საქალაქო სასამართლოს - 11, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს - 3, თბილისის საქალაქო სასამართლოს - 2, თელავის რაიონული სასამართლოს 4 განაჩენი.

ტიპის დანაშაულებთან მიმართებით შემწყნარებლურ და ლოიალურ დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

შესწავლილ 28 საქმეზე 32 პირის მიმართ სასამართლომ სასჯელის სახედ უმეტესად ვადიანი თავისუფლების აღკვეთა გამოიყენა, რაც მსჯავრდებულს პირობითად ჩაეთვალია. ხშირია ასევე ჯარიმის გამოყენების შემთხვევებიც.

დიაგრამა N2 - შესწავლილი განაჩენების მიხედვით, გამოყენებული სასჯელის ტენდენციები



მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ რამდენიმე შემთხვევაში²³¹ დამატებით სასჯელად გამოიყენა **ქონების ჩამორთმევა**, რაც ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამოიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას.²³²

საილუსტრაციო მაგალითები:

- ერთ შემთხვევაში პირს მსჯავრი დაედო სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) სახერხი დანადგარის (ტექნიკის) დამონტაჟებისთვის რეგისტრაციის გარეშე. სასამართლომ საქმე არსებითად განიხილა და გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. მსჯავრდებულს დაეკისრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ხოლო დამატებით სასჯელად განესაზღვრა ქონების ჩამორთმევა. მას სახელმწიფოს სასარგებლოდ **უსასყიდლოდ ჩამოერთვა სახერხი დანადგარი**.
- კიდევ ერთ შემთხვევაში პირი დამნაშავედ იყო ცნობილი უკანონო თევზჭერის საქმეზე. მას, ძირითად სასჯელთან ერთად (საზოგადოებისთვის სასარგებლო

²³¹ ამგვარი სამი შემთხვევა გამოვლინდა.

²³² სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 52 (1).

შრომა 80 საათის ვადით), დამატებითი სასჯელის სახით, სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა ქონება - ანკესი მასზე მობმული სახლართი ბადით.

ამ ტიპის დანაშაულებზე ასეთი დამატებითი სასჯელის გამოყენება გულისხმობს ბრალდებულისთვის, მსჯავრდებულისთვის მის საკუთრებასა ან კანონიერ მფლობელობაში არსებული, განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან ამისთვის რაიმე სახით გამიზნული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. სასამართლო ამ სასჯელს იყენებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა განზრახი დანაშაულისთვის, როდესაც სახეზეა დანაშაულის საგანი, იარაღი ან მის ჩასადენად გამიზნული ნივთი, რომლის ჩამორთმევაც საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან, ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ანდა ახალი დანაშაულის თავიდან ასარიდებლად.²³³

ამგვარი სასჯელის გამოყენებას, გარკვეულწილად, პრევენციული ხასიათი აქვს, ემსახურება ამავე ტიპის დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხის განეიტრალებას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

ოფიციალური სტატისტიკის მსგავსად, განაჩენების შესწავლითაც გამოიკვეთა, რომ გარემოს დაცვის მიმართულებით ჩაღწეულ დანაშაულთა შორის ყველაზე ხშირია უკანონო თევზჭერა, სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნათა დარღვევა და ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხა. ასევე გამოვლინდა ლიცენზიის გარეშე წიაღით საარგებლობის, ტყის ან ნარგავის დაზიანებისა ან განადგურების შემთხვევები.²³⁴

8.2.2. განჩინებები

საიას მიეწოდა 14 განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. მართალია, ეს არ იძლევა განზოგადების საშუალებას (თავად დანაშაულის სიმცირის, ასევე იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ხშირად პირველივე წარდგენის სხდომაზე ფორმდება საპროცესო შეთანხმება და აღკვეთის ღონისძიების შესახებ შუამდგომლობა განუხილველი რჩება), მაგრამ განჩინებების ანალიზით საგულისხმო მიგნებები გამოიკვეთა. სასამართლო უმეტესად მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიებას იყენებს, ძირითადად - გირაოს 1000-2000 ლარის ოდენობით. 4 შემთხვევაში კი მოსამართლემ ბრალდებულს არცერთი სახის აღკვეთის ღონისძიება არ შეუფარდა.

სიმკაცრით არც ბრალდების მხარის მიდგომები გამოირჩევა. საიას მიერ შესწავლილი საქმეებიდან პროკურატურას ბრალდებულთან მიმართებით არცერთ შემთხვევაში არ მოუთხოვია ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა. ბრალმდებელი სასამართლოს წინაშე შუამდგომლობდა გირაოს გამოყენებას, რომლის ოდენობა 1000-

²³³ იქვე, მუხლი 52 (2).

²³⁴ სსკ-ის მე-300 მუხლის მე-3 ნაწილი - 16 შემთხვევა; სსკ-ის 287¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი - 4 შემთხვევა; 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილი - 3 შემთხვევა; სსკ-ის 287¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, დანაშაულთა ერთობლიობა - 3 შემთხვევა; 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილი - 2 შემთხვევა; სსკ-ის 299-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 194-ე, 180-ე და 362-ე მუხლებთან ერთობლიობით - 1 შემთხვევა; სსკ-ის 299-ე მუხლის 1-ლი ნაწილი - 1 შემთხვევა; სსკ-ის 304¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი - 1 შემთხვევა.

3000 ლარს შორის მერყეობდა. პროკურორმა 5000 ლარიანი გირაოს დაკისრება მოითხოვა მხოლოდ 1 საქმეში, რომელშიც პირს ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 287¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და 303-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნათა დარღვევასა და ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხას გულისხმობს.

განჩინებების შესწავლამ აჩვენა, რომ ფიზიკური პირები, რომლებიც მსგავს დანაშაულებს სჩადიან, არაერთ შემთხვევაში (ასეთი 3 შემთხვევა გამოვლინდა)²³⁵ სოციალურად დაუცველთა წრეს მიეკუთვნებიან და განსაკუთრებული სიდუხჭირით გამოირჩევიან. ამ გარემოებას სასამართლო ბრალდებულის ინდივიდუალურ მახასიათებლად განიხილავდა და აღკვეთის ღონისძიების შერჩევასა და მხედველობაში იღებდა.

8.2.3. დადგენილებები

ამ თავში შეფასებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევები გარემოს დაცვის და ბუნებათსარგებლობის სფეროში. აგრეთვე გაანალიზებულია ზემოხსენებული რაიონული/საქალაქო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

სასამართლოს მიერ მოწოდებული დადგენილებების შესწავლის მიზანი იყო გარემოს დაცვის და ბუნებათსარგებლობის სფეროში გამოვლენილი მიდგომებისა და ტენდენციების იდენტიფიცირება. საიამ, ჯამში, 88 დადგენილება შეისწავლა.²³⁶

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებების შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები: 14 დადგენილებიდან სასამართლომ 11²³⁷ შემთხვევაში ჩადენილი ქმედება მიიჩნია მცირე მნიშვნელობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, პირი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა და მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლა. საყურადღებოა, რომ ეს ქმედებები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, სახდელის სახედ ითვალისწინებს ჯარიმას 7 000-დან 10 000 ლარამდე ოდენობით.²³⁸ სასამართლომ შემამსუბუქებელი გარემოებები გაითვალისწინა: 2 შემთხვევაში - შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს, ხოლო 1 შემთხვევაში - საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიმართ. ამასთანავე, ის სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლა მაშინაც, როცა საქმე ეხებოდა 500 კილო მანგანუმის ნარჩენის ლიცენზიის გარეშე მოპოვებას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქმედების ჩამდენს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 205 ლარის ოდენობით,²³⁹ **რაც, ბუნებრივია, ვერ შეფასდება შემდგომში გარემოსთვის უფრო დიდი ზიანის**

²³⁵ დანაშაულები შეეხებოდა ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხასა და სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნათა დარღვევას.

²³⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 7 დადგენილება, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 41 დადგენილება, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 25 დადგენილება, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 14 დადგენილება და თელავის რაიონული სასამართლოს 4 დადგენილება.

²³⁷ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილი - 2 შემთხვევა, 86-ე მუხლის მე-5 ნაწილი - 1 შემთხვევა, 77-ე მუხლის პირველი ნაწილი - 1 შემთხვევა, 79⁷-ე მუხლის პირველი ნაწილი - 3 შემთხვევა, მე-3 ნაწილი - 2 შემთხვევა, 57¹-ე მუხლის პირველი ნაწილი - 3 შემთხვევა.

²³⁸ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 79⁷(1).

²³⁹ 200 ლარი არის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის ღირებულება. იხ. საქართველოს კანონი სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ, მუხლი 17 (3).

მომტანი სამართალდარღვევის შემაკავებელ სახელად. შესწავლილი 14 დადგენილებიდან მხოლოდ 3 საქმეში დაეკისრა სამართალდამრღვევს გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.²⁴⁰ 2 შემთხვევაში სასამართლომ გამოიყენა გაფრთხილება, ხოლო 1 შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო, შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 7 შესწავლილი დადგენილებიდან 4 შემთხვევაში²⁴¹ ქმედება ჩაითვალა მცირე მნიშვნელობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და სასამართლო შემოიფარგლა სიტყვიერი შენიშვნით, 3 შემთხვევაში კი გამოიყენა ჯარიმა²⁴² 300 ლარის ოდენობით. საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა 3 შემთხვევაში მოსამართლემ მიიჩნია მცირე მნიშვნელობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, ხოლო 3-ში გამოიყენა ჯარიმა. ეს ნიშნავს, რომ თითქმის იდენტური ფაქტობრივი შემადგენლობის საქმეებში სასამართლოს არ აქვს გარემოსთვის მიყენებული ზიანისადმი თანაბარი მგრძობელობა, რაც დაკისრებულ სახდელებშიც გამოიხატება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული დადგენილებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები: 24 დადგენილებიდან²⁴³ 9 შემთხვევაში მოსამართლემ გამოიყენა ჯარიმა, ხოლო 14-ში - გაფრთხილება, 1-ში შეწყდა წარმოება. სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში ბრალდებულს დააკისრა ჯარიმა 30 000 ლარის ოდენობით. ამ შემთხვევაში საქმიანობის სუბიექტმა არ უზრუნველყო დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სათანადო თვითმონიტორინგი,²⁴⁴ ასევე საწარმოში არ დანერგა სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და სეპარირების სისტემა. გარდა ამისა, მისი ბრალეულობით ტერიტორია 500მ³ ინერტული ნარჩენით²⁴⁵ (წიდა) დაბინძურდა. სასამართლომ სწორად შეაფასა წარმოდგენილი სამართლებრივი გარემოებები და განმარტა, რომ „*ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში ბრალეული პირი, წარმოადგენდა რა მეწარმე სუბიექტს, მისი საქმიანობა ხასიათდებოდა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მო-*

²⁴⁰ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ 2022 წლის 1-ლი ივნისიდან უნდა მიიღოს დადგენილება „გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების წესის შესახებ“; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sbCrbo>.

²⁴¹ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლის მე-13 ნაწილი - 1 შემთხვევა, ამავე მუხლის მე-5 ნაწილი - 3 შემთხვევა.

²⁴² ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლის მე 5 ნაწილი.

²⁴³ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹-ე მუხლის პირველი ნაწილი - 4 შემთხვევა, 79¹-ე მუხლის პირველი ნაწილი - 5 და იმავე მუხლის მე-3 ნაწილი - 15 შემთხვევა.

²⁴⁴ საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, მუხლი 38. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3s8jjar>.

²⁴⁵ „50მ³ ან 50მ³-ზე მეტი მოცულობის სამშენებლო ნარჩენით ან სხვა ინერტული ნარჩენით გარემოს დანაგვიანება გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 15 000 ლარით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 30 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირი, რომლის მიმართაც შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ვალდებულია, დაუყოვნებლივ ან მითითებულ გონივრულ ვადაში დაასუფთაოს სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენებით დანაგვიანებული ტერიტორია“ - საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“, მუხლი 32(4), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3w1Gs3u>.

მეტებული საფრთხით და მოიცავდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესს“. აქვე ყურადღება გაამახვილა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლზე, რომლის ამოცანაა: ხელი შეუწყოს გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებების რეალიზებას - ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული სიკეთებით; უზრუნველყოს გარემოს ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის - ატმოსფერული ჰაერის დაცვა საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით; სამართლებრივად დაარეგულიროს ატმოსფერული ჰაერის დაცვის თვალსაზრისით საერთო გლობალური და რეგიონული პრობლემები.

სასამართლოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების სათანადოდ შეფასების თვალსაზრისით ნამდვილად გამომდინარეობს გარემოსდაცვითი ინტერესებიდან.

საიამ შეისწავლა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 39 დადგენილება.²⁴⁶ 10 შემთხვევაში მოსამართლემ ქმედება მიიჩნია მცირე მნიშვნელობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, 25 საქმეში სახდელის სახედ გამოიყენა ჯარიმა, ხოლო 3-ში - გაფრთხილება. 1 შემთხვევაში, პირის გარდაცვალების გამო, საქმის განხილვა შეწყდა.

ერთ-ერთ საქმეში სამართალდამრღვევი იყო საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. მას 2021 წლის 1-ელ იანვრამდე განცხადებით უნდა მიემართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის და მოეთხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. დეპარტამენტმა ეს ვალდებულება არ შეასრულა და საქმიანობას ამ გადაწყვეტილების გარეშე აგრძელებდა. ამის გამო, ის სასამართლომ ცნო სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷-ე მუხლის მესამე ნაწილით და გამოუცხადა გაფრთხილება. ეს ვალდებულება არ შეასრულა არც სსიპ შემოსავლების სამსახურმა, რომელსაც ასევე 2021 წლის 1-ელ იანვრამდე უნდა მიემართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა მოეთხოვა. სსიპ შემოსავლების სამსახური სასამართლომ იმავე მუხლით ცნო სამართალდამრღვევად და მასაც დააკისრა გაფრთხილება.

საგულისხმოა, რომ საჯარო დაწესებულებები, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, მეტი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ თავიანთი საქმიანობის შესაბამისობას გარემოს დაცვით კანონმდებლობასთან. ერთ-ერთ დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ „შპს ა-ს მოწყობილი ჰქონდა სამშენებლო ბლოკების დამამზადებელი საწარმო. საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი აქვს ქაბურღილი და საქაჩით ახდენდა მიწისქვეშა წყლის მოპოვებასა და სარგებლობას. შპს ა-ს მიწისქვეშა მტკნარი წლის მოპოვებაზე არ გააჩნია სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზია, შესაბამისად,

²⁴⁶ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹-ე მუხლი - 27 შემთხვევა; 86-ე მუხლის მე-3 ნაწილი - 3, ხოლო მე-13 ნაწილი - 4 შემთხვევა; 79⁷-ე მუხლის პირველი ნაწილი - 1, ხოლო მე-3 ნაწილი - 4 შემთხვევა.

ახორციელებს უკანონო სარგებლობას“. სასამართლომ მკვს ცნო სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹-ე მუხლით და სახელის სახით დააკისრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ასევე, გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ განუსაზღვრა 200,25 ლარის გადახდა. ეს გადაწყვეტილება საყურადღებოა გარემოსთვის მიყენებული ზიანის თვალსაზრისით. არსებული კანონმდებლობით, ლიცენზიის საფასური შეადგენს 200 ლარს. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ზიანის ოდენობა გამოდის 0.25 ლარი. ეს მიუთითებს, რომ გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) არსებული წესი²⁴⁷ მატერიალურად არ ასახავს რეალურ, ხშირად გამოუსწორებელ ზიანს.


თელავის რაიონულმა სასამართლომ საიას მიაწოდა ოთხი დადგენილება, რომელთა შესწავლა, მართალია, ტენდენციებზე საუბრის შესაძლებლობას არ იძლევა, თუმცა საყურადღებოა ერთ-ერთი მათგანი. პირი, რომელმაც უკანონოდ მოჭრა რცხილის ხე, სასამართლომ ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სახელის ზომად განუსაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. ხის მოჭრით გარემოსთვის მიყენებული ზიანი კი შეფასდა 20.9 ლარით. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს ზიანის დაანგარიშების თვალსაზრისით არსებულ პრობლემაზე.

საყურადღებოა ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ 2020 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით²⁴⁸ ძალადაკარგულად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის (წიადით სათანადო ლიცენზიის გარეშე სარგებლობა) სანქციის სახით ითვალისწინებდა სამართალდარღვევის იარაღის სავალდებულო კონფისკაციას და გამორიცხავდა საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ ამ სანქციის ინდივიდუალიზაციას. შესწავლილმა გადაწყვეტილებებმა ცხადყო, რომ სასამართლო ხშირად არ იყენებს ამ შესაძლებლობას.

²⁴⁷ 2014 წლის 14 იანვრის ტექნიკური რეგლამენტის „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდოლოგია“ დამტკიცების შესახებ.

²⁴⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 12 ნოემბრის №1/2/1475 გადაწყვეტილება.

დიაგრამა N3 - გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიმართულებით ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების 2018-2021 წლის სტატისტიკა²⁴⁹



როგორც დიაგრამაზე ჩანს, წინა წელთან შედარებით, 2021 წელს გაზრდილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენის მაჩვენებელი.

8.3. საქართველოს პროკურატურის სტრატეგია გარემოსდაცვით კანონდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის

საქართველოს პროკურატურის სტრატეგიით (2022-2027 წლები)²⁵⁰ პრიორიტეტულად გამოცხადდა გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. კერძოდ, პროკურატურის სტრატეგიის მეორე მიზნით განისაზღვრა ზოგიერთი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა, მათ შორისაა ასევე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ ჩადენილი ე.წ. „ეკოლოგიური დანაშაულები“.

ამ მიზნით პროკურატურის გეგმები ასეთია:

- პირველ ეტაპზე მოხდება სისხლის სამართლის კოდექსის 287-ე-306-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე წარმოებული საქმეების მონიტორინგი. გამოიკვეთება გამოძიების პროცესში არსებული ხარვეზები, რომელთა საფუძველზეც პროკურორებისთვის შემუშავდება სახელმძღვანელო მითითება. მისი შესრულების შეფასების მიზნით კი ყოველწლიურად მოხდება სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლა;

²⁴⁹ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში, გვ. 181, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის ანგარიში, გვ. 150, ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/Report>.

²⁵⁰ საქართველოს პროკურატურის სტრატეგია (2022-2027), გვ. 32, ხელმისაწვდომია: <https://pog.gov.ge/uploads/7f5da215-saqarTvelos-prokuraturis-2022-2027-wlebis-strategia.pdf>.

- გაძლიერდება პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გარემოს ეროვნული სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უწყებათაშორისი თანამშრომლობა ეკოლოგიური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი მეთოდების შემუშავების მიზნით;
- გაძლიერდება საზოგადოებრივი კამპანია ეკოლოგიურ დანაშაულებზე მოსახლეობის ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით;
- სტრატეგიის მოქმედების პერიოდში ყოველწლიურად დამუშავდება და პროექტიულად გამოქვეყნდება ინფორმაცია ეკოლოგიურ დანაშაულთა გამოძიების შედეგების შესახებ.

მისასალმებელია პროკურატურის ძალისხმევა სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპისთვის დევნის მაჩვენებელი არც ისე მაღალია, კერძოდ, 2021 წელს გამოვლინდა 312 შემთხვევა.

ამასთანავე, პროკურატურის გადაწყვეტილებები გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (ხშირ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების გაფორმება და შედარებით მსუბუქი სასჯელების გამოყენება) მიაჩნდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან ამ ტიპის დანაშაულები აქამდე არცთუ სერიოზულად აღიქმებოდა.

9. შეჯამება

დღესდღეობით გარემოსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემების სწრაფად მზარდი ხასიათიდან გამომდინარე, აუცილებელია, არსებობდეს ეფექტიანი მექანიზმები, რათა თავიდან იყოს აცილებული გარემოსა და ადამიანისთვის ზიანის მიყენების რისკები. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია სისხლის სამართლის როლი. მისი მიზანია გარემოს დაცვის სფეროში იმ დანაშაულებრივი ქმედებების კრიმინალიზაცია, რომლებიც არსებით საფრთხეს უქმნის ან ზიანს აყენებს გარემოს და, შესაბამისად, ადამიანს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ, მიუხედავად საერთაშორისო დონეზე გარემოს დაცვის სფეროს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი რეგულირებისა, ეს მექანიზმები ჯერ კიდევ არ არის ეფექტიანი ამ კუთხით ჩადენილი დანაშაულების პრევენციისა და მათზე სათანადო რეაგირებისთვის, მათ შორის, არც ევროკავშირის ქვეყნებში. გამოწვევები არსებობს როგორც საკანონმდებლო, ისე მისი აღსრულების მიმართულებით. სხვადასხვა მიზეზთან ერთად, პრობლემებს იწვევს როგორც ამ სფეროს არასათანადო რეგულირება, მაგალითად, დანაშაულებისთვის განსაზღვრული მსუბუქი სანქციები, ისე საზოგადოების დამოკიდებულება, ცნობიერების დაბალი დონე, გარემოსდაცვითი დანაშაულის სპეციფიკური ხასიათი, ადამიანური და ტექნიკური რესურსების ნაკლებობა და სხვა. მდგომარეობის გამოსწორებისა და სისხლისსამართლებრივი მექანიზმების მეტად ეფექტიანად გამოყენებისთვის ევროკავშირმა შეიმუშავა ახალი დირექტივის პროექტი, რომლის მიღების შემთხვევაშიც გაფართოვდება ამ კუთხით ჩადენილი დანაშაულების წრე და ქვეყნებს დაეკისრებათ შესაბამისი ვალდებულებები, რათა აღმოფხვრან პრაქტიკაში კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ გარემოს დაცვის სფეროს სისხლისსამართლებრივი რეგულირება ამ ეტაპზე არც საქართველოს შემთხვევაშია ეფექტიანი. პრობლემები აქაც დაკავშირებულია როგორც კანონმდებლობის ხარვეზებთან, ისე პრაქტიკაში აღსრულების კუთხით არსებულ ბარიერებთან. გარდა ამისა, ხშირად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე, განსაზღვრული სასჯელები უმეტესწილად მსუბუქი ხასიათისაა და არ აქვთ სათანადო შემაკავებელი ძალა. ამასთანავე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები თავიანთი ფორმით, ძირითადად, შედეგზე ორიენტირებული, ე.წ. მატერიალურია, ხოლო შედეგი, რომლის პრევენციაც ხარვეზიანი კანონმდებლობის გამო ვერ ხერხდება - შეუქცევადი.

გარდა ამისა, შეინიშნება დანაშაულების კლების ტენდენცია, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს მათი გამოვლენისა და სათანადო რეაგირების კუთხით არსებულ პრობლემებს. დადგენილებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქმედების ჩამდენს სასამართლო უმეტესად ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს ან მსუბუქ სახდელს აკისრებს. სამართალდარღვევების მიმართ ზიანის და შედეგის გაუთვალისწინებელი ლოიალური დამოკიდებულება, შესაძლოა, ერთგვარ წამახალილებელ როლსაც ასრულებდეს. ხშირად ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის, საჭიროა, მას წინ უსწრებდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ამიტომ, მნიშვნელოვანია, ამ უკანასკნელს ჰქონდეს შემაკავებელი ძალა.

ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად საჭიროა, რომ გარემოსდაცვით დანაშაულთან ბრძოლა ქვეყნისთვის იყოს ერთ-ერთი პრიორიტეტი და სახელმწიფო, სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, მათ გადაჭრაზე ზრუნავდეს. ახალი დირექტივის მიღების შემდეგ, ევროკავშირის სამართალთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და სისხლისსამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანად გამოყენებისთვის, ასევე უმნიშვნელოვანესი იქნება მისი სათანადო იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე.

10. რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოკვეთილი მიგნებების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის დახვეწის, ევროკავშირის სამართალთან მისი მეტად დაახლოებისა და ჰარმონიზაციის, ასევე, პრაქტიკაში აღსრულების კუთხით გამოვლენილი პრობლემების გამოსწორების მიზნით, მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება - გაიზარდოს ქართულ კანონმდებლობაში იმ დანაშაულთა წრე, რომელთა ჩადენის შემთხვევაში იურიდიულ პირებსაც დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება საჭიროა მაშინაც, როდესაც სახეზეა არა უშუალოდ ზიანი, არამედ მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების საფრთხე. გარემოს დაცვის სფეროში ამგვარ მიდგომას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლი ითვალისწინებს, თუმცა, აუცილებელია, ის სხვა შემთხვევებზეც გავრცელდეს;

- იურიდიული პირებისთვის განსაზღვრული სასჯელი უნდა იყოს შედარებით მკაცრი, რათა მას ჰქონდეს სათანადო შემაკავებელი ძალა და უზრუნველყოს დანაშაულის პრევენცია. მეტი ეფექტიანობისთვის, სასჯელის სახედ, კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით, უნდა შეიძლებოდეს სხვადასხვა ტიპის სასჯელის გამოყენება, მაგალითად:
 - სისხლისსამართლებრივი ჯარიმა, რომელიც უნდა განისაზღვროს იმ ოდენობით, რომ ჰქონდეს რეალურად შემაკავებელი ძალა და არ იყოს მხოლოდ ფორმალური ხასიათის;
 - დადგენილ ვადაში გარემოს აღდგენის ვალდებულების დაკისრება;
 - ლიკვიდაცია სასამართლო განაჩენის საფუძველზე;
 - საჯარო ფონდებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, მათ შორის, საჯარო ტენდერში მონაწილეობის, საჯარო გრანტის მიღების, კონკრეტული შეღავათებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა;
 - საქმიანობის დროებით შეზღუდვა;
 - იმ საქმიანობის გაგრძელების დროებით ან სამუდამოდ აკრძალვა, რომლის ფარგლებშიც ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა გარემოსდაცვითი დანაშაული ჩაიდინა;
 - ნებართვისა და ლიცენზიის ჩამორთმევა;
 - საქმიანობის აღგლის დროებით ან სამუდამოდ დახურვა;²⁵¹
 - Due Diligence სქემების დანერგვა გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობის გასაუმჯობესებლად;²⁵²
 - სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროდ, პროაქტიულად გამოქვეყნება.
- ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის, იურიდიულ პირებს, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, დაეკისროთ ისეთი სასჯელები, რომლებიც გავლენას იქონიებს მათ საქმიანობაზე, იქნება მეტად პროპორციული, სამართლიანი და ექნება შემაკავებელი, პრევენციული ხასიათი;
- ახალი დირექტივის მიღების შემთხვევაში საქართველომ უნდა უზრუნველყოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრული შესაბამისობა დირექტივით განსაზღვრულ პირობებთან, რათა ქართული კანონმდებლობა უფრო მეტად დაუახლოვდეს ევროკავშირის სამართალს. ეს კი მას საშუალებას მისცემს, სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, აღმოიფხვრას ხარვეზები, რომლებიც გარემოს დაცვის სფეროში სისხლის სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით არსებობს;
- გარემოს, ასევე ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროა, ეროვნულ დონეზე პრიორიტეტულად გამოცხადდეს გარემოსდაცვით დანაშაულთან ბრძოლა. უნდა არსებობდეს დეტალური და

²⁵¹ იგულისხმება იმ დაწესებულების დროებითი ან მუდმივი დახურვა, სადაც დანაშაული მოხდა.

²⁵² მოცემულ კონტექსტში, Due Diligence სქემები ნიშნავს გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით კონკრეტულად გაწერილ ვეგმას, საქმიანობის წესს, ყველა იმ საჭირო სამართლებრივ თუ პოლიტიკის დოკუმენტს, რომელთა მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა.

ყოველმხრივ ეროვნული სტრატეგია კონკრეტული ტიპის დანაშაულებთან ბრძოლის თაობაზე;

- ეროვნულ სტრატეგიაში უნდა აისახოს თანამშრომლობის საჭიროება სხვადასხვა უწყებას შორის, როგორც პოლიცია, პროკურატურა, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, გარემოს ეროვნული სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო და ა.შ. გარემოსდაცვით დანაშაულებს თავიანთი უფლებამოსილების შესრულებისას ხშირად სწორედ ეს სააგენტოები და ადმინისტრაციული სტრუქტურები ავლენენ, ამიტომ მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობა აუცილებელია;
- დანაშაულის, სამართალდარღვევის გამოვლენისა და მათზე სათანადო რეაგირებისთვის ასევე საჭიროა, არსებობდეს მჭიდრო თანამშრომლობის სტრატეგია საჯარო სტრუქტურებსა და კერძო, არასამთავრობო სექტორსა თუ ფიზიკურ პირებს შორის, ვინაიდან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, პრაქტიკაში ხშირად სწორედ მათ მიერ ხდება გარემოსდაცვითი სამართალდარღვევისა და დანაშაულის პირველადი იდენტიფიცირება;
- გარემოსდაცვით დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლისთვის საჭიროა პოლიციისა და პროკურატურის ორგანიზაციული სტრუქტურების გაუმჯობესება. კარგი იქნება, თუ ამ სტრუქტურებში იარსებებს შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი სპეციალიზებული დანაყოფები. ამასთანავე, ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე, კარგ პრაქტიკად მიიჩნევა ასევე გარემოსდაცვითი დანაშაულების გამოძიება იმ დანაყოფების მიერ, რომლებიც ეკონომიკურ დანაშაულებს იძიებენ. ეს განპირობებულია იმით, რომ ხშირად გარემოსდაცვითი დანაშაულის მოტივი სწორედ ფინანსური სარგებლის მიღებაა;
- აუცილებელია გარემოსდაცვითი დანაშაულის შესახებ აქტიური საინფორმაციო და შემეცნებითი კამპანიების დაგეგმვა და გატარება, რათა აღმოიფხვრას მის გამოვლენასთან დაკავშირებული პრობლემები, იმავდროულად, გაიზარდოს საზოგადოების ცნობიერება;
- გარემოსდაცვითი დანაშაულის გამოსავლენად აუცილებელია, შესაბამისმა უწყებებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გაამყარონ ამა თუ იმ ნებადართული და ლიცენზირებული საქმიანობის კონტროლი, გაზარდონ მათი შემოწმების სიხშირე, ასევე გაუმჯობესონ სხვა უკანანო ქმედებების მონიტორინგი. ამას კი სჭირდება როგორც ადამიანური რესურსი, ისე სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- აუცილებელია, გაიზარდოს გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობა;
- ბრალდების ორგანოებმა და სასამართლომ უნდა შეარჩიონ ადვოკატის იმგვარი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას;
- სასამართლომ უნდა გამოიყენოს ადეკვატური სასჯელები, რომლებსაც ექნება პრევენციული ხასიათი და, შესაძლებლობის შემთხვევაში, მიმართული იქნება გარემოსთვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრისკენ;

- მნიშვნელოვანია, გარემოსთვის მიყენებულ რეალურ ზიანს შეესაბამებოდეს მისი გამონაგარიშების წესი;
- სასამართლომ მეტი მგრძობელობა უნდა გამოავლინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით. ამგვარი საქმეების განხილვები არ უნდა იყოს მხოლოდ ფორმალური, ხოლო დაკისრებულ სახდელებს უნდა ჰქონდეს რეალურად შემაკავებელი ძალა;
- მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი უწყებების თანამშრომლები და სასამართლოები გარემოსდაცვით დანაშაულს სათანადოდ აღიქვამდნენ და არ ჰქონდეთ მის მიმართ ლოიალური დამოკიდებულება. ამასთანავე, ამგვარი დანაშაულის სპეციფიკურობა მათგან მოითხოვს საკითხის საფუძვლიან სამართლებრივ თუ ტექნიკურ ცოდნას და უნარებს, რათა მოხდეს დანაშაულის სათანადოდ გამოვლენა, მასზე რეაგირება, მტკიცებულებების შეფასება, შესაფერისი სასჯელების გამოყენება და ა.შ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ პირების (მათ შორის, საგამოძიებო ორგანოებისა და პროკურატურის მუშაკები, მოსამართლეები) გადამზადება და შესაბამისი სპეციფიკური უნარებით აღჭურვა;
- აუცილებელია, შესაბამისმა უწყებებმა (მაგალითად, ადმინისტრაციული სტრუქტურები, პოლიცია, პროკურატურა, სასამართლოები) რეგულარულად შეაგროვონ და დაამუშაონ ინფორმაცია გარემოსდაცვითი დანაშაულის შეტყობინების შემთხვევების, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, მათი შედეგების, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებ. აუცილებელია, ეს ინფორმაცია იყოს სისტემატურად განახლებადი და შეიქმნას საერთო, ერთმანეთთან დაკავშირებული საინფორმაციო ბაზები. ამასთანავე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ინფორმაციაზე საჯარო ხელმისაწვდომობა, მათ შორის, სტატისტიკური ინფორმაცია განთავსებული უნდა იყოს მათ ვებგვერდებზეც.